# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 12 მაისი, 2011 წელი.

№88 (6699)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.



## ჩვენი მწარე სინამდვილე (3) ოქროს სათვალე ბებიაშვილისთვის!

## „ქართული ოპოზიცია აქციას, როგორც პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს, აუფასურებს“ (2)

## „პირველი დედა“ – ელიტური კორუფციის თვალსაჩინო მაგალითი (2)






## სამართლიანი არჩევნები თუ რევოლუცია? (3)

## (4) რატომ შეაშფოთა ჩვენი ხელისუფლება ამერიკელების სათაურმა?

## ვამბობ სტალინს (6) და მეამაყება (9) ჩემი ქართველობა!

## „მიშაბათებული“ სპექტაკლი რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში (9)

## ხელისუფლებამ ახალი სცენარი ჩაიგდო



## „ამ ტაძარს მე და შენ ავაშენებთ მთელ საქართველოსთან ერთად!“

12 მაისს, 18 საათზე, ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, მახათას მთაზე იკურთხება ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძრის საძირკველი. რიტუალს დაესწრებიან მსოფლიო პატრიარქის წარმომადგენლები: კრეტის მთავარეპისკოპოსი ირინეოსი და იკონიის მიტროპოლიტი თეოლიპტე. აგრეთვე დელეგაციები ათონის მთიდან, დივეევიდან, ზაგორსკის და კიევის მღვიმის ლავრიდან.

თბილისში, მახათას მთაზე შენდება ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძარი და სავანე. ეს არის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს ისტორიაში. ყოველი ქართველი როცა შევა ამ ტაძარში, შევა თავის აშენებულ ღვთის სახლში.



ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი სწორედ ჩვენი ერთიანობითა და თანასწორობით იქნება განსაკუთრებული, მსოფლიოში არ არსებობს სხვა ანალოგი, როცა არა რომელიმე ბიზნესმენი ან ორგანიზაცია, არამედ ხალხი თავისი კეთილი ნებითა და თანაბარი მონაწილეობით აშენებს უდიდესი მნიშვნელობის ტაძარს. ღვთისმშობლის საკვირველთმოქმედი ხატის სადიდებლად აგებულ სულიერ სავანეში შესულ ყველა ერს შეეძლება თავისი შვილისათვის სიამაყით თქვას – ეს ტაძარი მე და შენ ავაშენეთ მთელ საქართველოსთან ერთად!

**პაატა ბურჭულაძე,**

**ფონდ „ივერიისას“ დამფუძნებელი**



ოპოზიცია

# „პირველი დედა“ – ელიტური კორუფციის თვალსაჩინო მაგალითი

## როგორ გამოიყენა გიული ალასანიამ საკუთარი სტატუსი და პრივილეგია სახელმწიფო ქონების მისათვისებლად?






**არ ვიცი, რამდენად აქვს ფასი ახლა, დაგვიანებით, „ელიტური კორუფციის“ შესახებ ინფორმაციების გამომზეურებას, თუმცა რესპუბლიკური პარტია იხტიბარს მაინც არ იტეხს. პირში პირდაპირ ვერავინ მიახალა პრეზიდენტს, შენს გარემოცვაში კორუფცია კი არ ჰყვავის, ყვავილობს კიდეცო, მაგრამ მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა ხელების სავსავით მოსთხოვა პარლამენტარებს, დამისახელეთ კორუფციონერთა გვარებიო, უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლების გარდა, ყველა დანარჩენი სათითაოდ ასახელებს გვარ-სახელებს, აქვეყნებს ფოტომასალებს და კორუფციონერთა ჭიშკართან ბრიფინგებს აწყობს, აქციებს მართავს... ოღონდ უკვე პარლამენტში მათი ხმა არავის ესმის, მით უფრო პრეზიდენტს.**

მაჟორიტარების არჩილ გეგენავასა და თემურ კოხოძის, ყოფილი თავდაცვის მინისტრის დავით კეზერაშვილის, თბილისის მერის გიგი უგულავას, კულტურის მინისტრის ნიკა რურუას ბიზნეს-ინტერესებისა და კორუფციული გარიგებების გახმაურების შემდეგ, თინა ხიდაშელმა ამჯერად პრეზიდენტის დედის – გიული ალასანიას ბიზნეს-ინტერესების შესახებ ისაუბრა გუშინ გამართულ ბრიფინგზე. თან საკუთარი ბრალდებების გასამყარებლად ოფიციალური დოკუმენტაცია წარმოადგინა. საუბრის დასაწყისში ხიდაშელმა აღნიშნა, რომ ის არ ეხება გიული ალასანიას სამეცნიერო საქმიანობას და როგორც პროფესორს, პატივს სცემს, თუმცა სხვა საქმეა გიული ალასანიას, როგორც ბიზნესმენის გაშიფვრა.

**პრეზიდენტის დედის კომერციული ინტერესები 2004 წლიდან იღებს სათავეს და ქვეყნის უმაღლესი განათლების სფეროს კონტროლს იწყებს. სწორედ ამ წლის ზაფხულში ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად აფუძნებს „საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლას“. „რესპუბლიკელებმა როგორც კი მაშინდელი რექტორი ხუროძე გიული ალასანიას გვერდით ვიხილეთ, ეჭვი შეგვეპარა. მაშინ სააკაშვილმა ტექნიკური უნივერსიტეტის ბევრი თანამშრომელი დაიჭირა გასხვისებული ქონების გამო, ხოლო რექტორი ხელშეუხებელი დატოვა“, – განაცხადა ხიდაშელმა. სულ მალე სკოლა „საქართველოს უნივერსიტეტად“ გადაკეთდა, ხოლო ხუროძემ ტექნიკური უნივერსიტეტის წილი, სიმბოლურ ფასად – 200 ლარად მიჰყიდა გიული ალასანიასა და მის მეგობარ-პარტნიორს მანანა სანაძეს. იმის მიუხედავად, რომ 2006 წლის შემდეგ ტექნიკური უნივერსიტეტი „საქართველოს უნივერსიტეტის“ დამფუძნებელი აღარ იყო, ქონება, რომლითაც მანამდე სარგებლობდა უნივერსიტეტი, კვლავაც გიული ალასანიას განკარგულებაში რჩება.**

საჯარო რეესტრის მიერ გაცემული დოკუმენტის შესაბამისად, 2005 წელს „საქართველოს უნივერსიტეტს“ (ანუ მაშინდელ „საზოგადოებრივ სკოლას“) ეკონომიკის სამინისტროს მიერ პირდაპირ გადაეცა კოსტავას 77-ში მდებარე ტექნიკური უნივერსიტეტის ბალანსზე მყოფი ფართიდან 1,240 კვ.მ. მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთითურთ, ხოლო თავად უნივერსიტეტმა დამატებით 866 კვ.მ. გადასცა იმავე მისამართზე.

2007 წელს გიული ალასანია ვაკე-საბურთალოს გამგეობაში აგზავნის წერილს, სადაც წერს, რომ ერთ მისამართზე ორი უნივერსიტეტი არსებობს, ამიტომ ცალკე ნომრის მინიჭებას ითხოვს. რა თქმა უნდა, მოთხოვნა კმაყოფილდება და ენიჭება მისამართი – კოსტავას 77 ა.

ხიდაშელის ინფორმაციით, ამ ჟესტშიც „ძაღლის თავია დამარხული“. საქმე ის არის, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ისე როგორც სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტებს, ტექნიკურ უნივერსიტეტსაც უზურფუქტის წესით, ანუ სამუდამოდ გადაეცა შენობები საკუთრებაში. მას შემდეგ, რაც გაჩნდა სხვა მისამართი – 77ა, სახელმწიფოს ხელ-ფეხი გაეხსნა და ამ მისამართზე არსებული მიწის ნაკვეთისა და ფართების აუქციონზე გატანა დაიწყო. აუქციონზე გიული ალასანიას კონკურენტი არა ჰყავს და სასაცილო ფასად, მაგალითად, 32 ლარად ყიდულობს თითო კვადრატულ მეტრს, რაც ქალაქის ცენტრალური ადგილისთვის აბსოლუტურად შეუსაბამო ფასია. დღეს უკვე პრეზიდენტის დედა 15 ათასი კვ.მ. მფლობელია. **„ეს კი იმას ნიშნავს, რომ გიული ალასანიამ საკუთარი სტატუსი და პრივილეგია გამოიყენა სახელმწიფო ქონების მისათვისებლად“,** – ამბობს ხიდაშელი.

ალასანიას ინტერესები ამით არ შემოიფარგლება. ის „შავი ზღვის უნივერსიტეტის“ დაქირავებული ვიცე-რექტორია. უმნიშვნელო არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ მისმა შვილმა ამ უნივერსიტეტისთვის სახელმწიფო რესურსები არ დაიშურა და სიმბოლურ ფასად გადასცა მიწა თბილისში, სადაც დღეს უნივერსიტეტის ახალი კორპუსი შენდება. 2009 წელს ის კიდევ ერთი „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის“ 14 პროცენტს ყიდულობს აუქციონზე, სადაც ასევე კონკურენტი არა ჰყავს და დამფუძნებელთა სიაში ხვდება.

ხიდაშელის ინფორმაციით, პრეზიდენტის დედის ბიზნეს-ინტერესები ლამის უსაზღვროა. სწორედ მისი „საქართველოს უნივერსიტეტი“ აფუძნებს შეზღუდული პასუხისმგებლობის ფირმას „საუნივერსიტეტო ავეჯს“. სახელიდანაც კარგად ჩანს, რა დაინტერესება დევს ამგვარ ბიზნესში. 2008 წელს აფუძნებს კაფე „ხადილს“. ამ კაფეს უნივერსიტეტის III კორპუსის II სართულის დიდი ნაწილი უკავია, რომელსაც ყოველდღიურად 1000-მდე ადამიანი სტუმრობს. კაფე ემსახურება კონფერენციებს, ტრენინგებსა და პრეზენტაციების მონაწილეებს, – ნათქვამია კაფეს ვებ-გვერდზე, **„ვფიქრობ, შთამბეჭდავი ინფორმაციაა, ძნელად თუ შეხვდებით სადმე სხვა კაფეს, რომელსაც ყოველდღიურად 1000 მომხმარებელი ჰყავდეს,** – დასძინა ხიდაშელმა.

ამას ემატება ის დამატებითი გადარიცხვები, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტი და პრეზიდენტის ფონდი არ იშურებს. განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხებია გახარჯული ქართულ-თურქული ურთიერთობების დასაფინანსებლად. როგორც რესპუბლიკელი აღნიშნავს, სამწუხაროდ, 2007 წლის ნოემბრის შემდეგ ეს ინფორმაციები, ფულის გამოყოფის შესახებ დოკუმენტაციები პრეზიდენტის საიტიდან ქრება.

თინა ხიდაშელი ამბობს, რომ „ელიტური კორუფციის“ შესახებ ინფორმაციების გამოქვეყნების ციკლი ამით არ დასრულდება, შემდეგი იქნებიან პარლამენტის სხვა წევრები, მინისტრები...

**ჟურნალისტის კითხვაზე, შეიტანთ თუ არა სარჩელს ალასანიას წინააღმდეგო, თინა ხიდაშელმა უპასუხა, არაო. „ბუნებრივია, მის წინააღმდეგ საქმეს პროკურატურა არ აღძრავს, ამდენად, ჩივილს აზრი არა აქვს. უბრალოდ, ჩვენ ვცდილობთ გავფანტოთ ის მითი, რომ ქვეყანაში კორუფცია აღარაა,** – აღნიშნა მან.

**ნია ფიფია**




პროგნოზი

## „ქართული ოპოზიცია აქციას, როგორც პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს, აუფასურებს“

**როგორც ვასილ ჭყოიძემ „პირველს“ რადიკალური ოპოზიციის მიერ დაწყებული და დაანონსებული აქციების კომენტირებისას განუცხადა, „მიტინგებით ხელისუფლების შეცვლა არარეალური და არასასურველია“.**

„აქციები დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი მოვლენაა, უბრალოდ ისინი კონკრეტული მიღწევადი ამოცანების გადასაჭრელად უნდა იყოს მიმართული და არა ზოგად ლოზუნგზე, რომელიც საზოგადოებაში იმედგაცრუებას კიდევ უფრო გააღრმავებს და აქციის, როგორც დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი მოვლენის გაუფასურებას მოახდენს. სამწუხაროდ, მე ვხედავ ტენდენციას, რომ ზოგადი ლოზუნგები აქციებს აუფასურებს. მიტინგებით ხელისუფლების შეცვლა, მით უმეტეს – დღევანდელ პირობებში არარეალურად მიმაჩნია და ჯანსაღ საზოგადოებაში ეს არც არის სასურველი. ენერგია, რომელიც ისეთი ამოცანის მიღწევაში შეიძლება, დაიხარჯოს, რომლის მოგვარებაც აქციებით შესაძლებელია, ფუჭად იხარჯება“, – განაცხადა ჭყოიძემ.

რაც შეეხება „დემოკრატიული მოძრაობის – ერთიანი საქართველოს“ ლიდერ ნინო ბურჯანაძის განცხადებას იმის შესახებ, რომ 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული აღლუმი მშვიდად არ ჩაივლის, ექსპერტი მას „არასერიოზულად“ მიიჩნევს.

„ეს ხელისუფლებისადმი მიძღვნილი აღლუმი არ არის. 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა, რომელიც ყველას ეხება – მმართველ პარტიას, ოპოზიციას თუ უპარტიო ადამიანებს. ეს საერთო სახალხო დღესასწაულია და გაუგებარია, რატომ არ უნდა ჩაიაროს მან მშვიდად. ეს დაახლოებით იგივეა, რომ განვაცხადოთ, ახალი წელი მშვიდად არ ჩაივლისო. თარიღებზე და აღლუმებზე გამოკიდება ცოტა არასერიოზულია. სჯობს, პოლიტიკოსებმა მეტი ყურადღება პოლიტიკურ და სამართლებრივ საკითხებს დაუთმონ“, – განაცხადა ჭყოიძემ და დასძინა, რომ „არც სერიოზულ პროვოკაციებს და არც დიდი მასშტაბების აქციებს ელის“.

შეგახსენებთ, რომ „ქართულმა პარტიამ“ ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით 9 მაისს საპროტესტო აქციები დაიწყო, 21 მაისიდან კი სახალხო გამოსვლებს „წარმომადგენლობითი სახალხო კრებაც“ გეგმავს.

**ნინო ჩიჩუა**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

**განსჯა**

ლოდინი, რომელსაც დასასრული არა აქვს, ასე შეიძლება დავათარილოთ ამჟამინდელი რევოლუციამდელი ჟამი.

და ეს რევოლუციამდელი ჟამი თავისთავად არის დაუსრულებელი მოლოდინის სიმბოლო და ხატება.

ეს არის „სუბსტანცია“, რომელსაც, როგორც იტყვიან, არა აქვს ფერი, სუნი და გემო, ვითარცა წყალს, მაცოცხლებელს. იგი მხოლოდ იმის მიხედვით შეიმღვრევა ხოლმე, თუ ვინ მიუჯდება დროდადრო ამ უთავჟამო მოლოდინის საჭეს.

ამჟამად სახალხო კრებას და ქართულ პარტიას მიჰყავთ „სტოსი“.

ეს გვაიმედებს, რომ წინ გველის შუშხუნა, ჭრუანტელიანი დღეები და ღამეები.

ჯერ 2 მაისი იყო მეგა აფეთქების მიჯნად

# ოქროს სათვალე ბებია-შენისთვის!

დათქმული, რომელსაც მსოფლიო უნდა შეეზანზარებინა, 2 მაისის საღამოს ან, ბოლოს და ბოლოს, 3 მაისის დილას ახალ, რევოლუციურ ხელისუფლებას მსოფლიოსთვის უნდა ეპატაკებინა, რომ საქართველომ აწ და მარადის მოიცილა საძულველი დიქტატურის ხუნდები და გრძელ-გრძელი და მაღალ-მაღალი სკუპებით წახტუნდა უზენაესი დემოკრატიისკენ, რომელიც რა ხანია ნისლში ჩაკარგული ჰორიზონტიდან მონატრებულად გვიქნევს ვარდისფერ ხელისგულს.



მაგრამ ღილაკზე დაჭერა სრულიად ბუნებრივად გადავადდა 21 მაისისთვის, რადგან კარს მომდგარი ქარიშხლის მაცნედ 2 მაისისთვის სიოც კი არ არხევდა იასამანს...

და ამ გადავადებაში კიდევ ერთხელ, თანაც ხელშესახებად, თვალსაჩინოდ გამომზეურდა ჩვენი ოპოზიციის შორსმჭვრეტელობა: თავსხმა წვიმიანი აპრილის შემდეგ ძნელი იყო 2 მაისის პატიოსნებას ნდობოდი.

ხომ შეიძლება გადაუღებელ ჟუჟუნას სულაც მტკვარში ჩაერეცხა მთელი ოპოზიციაც და პოზიციაც და მერე სულ ცალ-ცალობით უნდა გვეძებნა მინგეჩაურში.

თანაც ასე ოსტატურად, უმტკივნეულოდ, მარიფათიანად გადაავადეს, რომ სარევოლუციოდ აღერილ მასას, რომელიც ამ რევოლუციის საზარბაზნე ხორცად არის გახაზირებული, დიდი პროტესტი არც გამოუთქვამს.

მან (მასამძ, უბრალოდ, როცა 2 მაისს მთქნარებით გამოაღო ფანჯარა დაწყებული რევოლუციის შესათვალიერებლად და გარეთ ვერაფერ საგულისხმოს ვერ ჰკიდა თვალი, გვერდი იცვალა და ძილი გააგრძელა: 21 მაისი? იყოს 21!

ძალაუნებურად იფიქრებ, რომ სახალხო კრებას, რომელმაც მაინცდამაინც და სწორედ 21 მაისი დათქვა და არა, ვთქვათ, 20 ან 22, თავისი ღრმა გათვლები აქვს ამ კონკრეტულ თარიღთან დაკავშირებით, მით უფრო, რომ სახალხო კრების ერთ-ერთ (მაგრამ უმთავრესძ ლიდერს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს თავის ელეგანტურ ხელჩანთაში საპრეზიდენტო კვერთხიც კი აქვს თადარიგიანად ჩადებული, რის შესახებაც დედაშვილურად (დაძმურად) გაგვაფრთხილა კიდეც, რუსული ტელეარხისთვის მიცემული ინტერვიუთი, მერე არ დაიწყოთ, არ ვიცოდით და თურმე რა სდებია გულშიო, თურმე პრეზიდენტობას უმიზნებსო.

დიახაც უმიზნებს და ამით თანამოსაგრე ქართული პარტიის რიგებში არეულ-დარეულობა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, უსიამოვნო განწყობა მაინც შეაქვს.

ეს ქართული პარტიის რევოლუციებში გამოჯეკილი თავკაცების (მარტო ეს სახელები რად ღირს: ეროსი კიწმარიშვილი, ლევან გაჩეჩილაძე, ირაკლი ოქრუაშვილი...ძ ფრაზეოლოგიაში და სახალხო კრების მიმართ ცოტა არ იყოს არაკოლეგიურ (არ მინდა ვთქვა, აგდებულძ დამოკიდებულებაშიც აისახა.

ჯერ ერთი, სახალხო კრებამ რომ 21 მაისი დაგვითქვა, ქართპარტიამ 9 მაისი გვითხრა. დაიწყო კიდეც პროვინციებიდან; თელავში, ყვარელში და სხვაგან აქციები და მანიფესტაციები მოაწყო, თუმცა ამ ღონისძიებათა მძაფრ დეტონაციას ჯერჯერობით დედაქალაქამდე არ მოუღწევია.

შეიძლება ისეა, პირველი პური კუტიაო რომ ამბობენ და თანდათან დაიზეთავენ ბორბლებს.

ვნახოთ!

ყოველ შემთხვევაში სამშაბათ საღამოს ქართულმა პარტიამ თამაში უმთავრესი კოზირით დაიწყო: სტუდია „პირისპირში“ ეკრანზე ირაკლი ოქრუაშვილი (ოოოო!!!!ძ გამოუშვეს, როგორც წითელ ლაბადააფრიალებული ხარი.

ამ დიდი კაცის საქმენი საგმირონი კარგად იცის საზოგადოებამ, მაგრამ რამდენად ენდობა, სჯერა მისი, ეს თითოეულის პირადი საქმეა.

იმ უთვალავ საკვანძო თანამდებობაზე ყოფნისას, რომლებსაც ნაციონალთა ხელისუფლებაში თავის დროზე ფლობდა ირაკლი ოქრუაშვილი, განსაკუთრებით ორი ელვარე მომენტი მახსენდება.

პირველი ის გახლავთ, სადღაც აგარასთან საველე ბორდელში თურქ მძღოლებთან მომუშავე მეძავებს რომ დაერია რიბი-რაბოში ტელეოპერატორ-პოლიციელებით და სულ საკუთარი ხელით ყრიდა ლოგინიდან ტიტლიკანა გოგოებს.

მეორე, 2005 წლის სექტემბერში, სპორტის სასახლეში მიმდინარე პატრიოტთა პირველი ეროვნული ფორუმი რომ დაზაფრა თავდაცვის მინისტრმა ი. ოქრუაშვილმა, ახლახან რამდენიმე კაცთან ერთად, აფხაზეთის ტერიტორიაზე ვიყავი, ღამეები ტყეში გავათიე კვერნებთან და იქ დავიფიცე, რომ არც ერთი ქართველი არასოდეს გაათევს ტყეში, როგორც პარტიზანიო.

ამ დიადი აღქმიდან საბოლოოდ რაც გამოვიდა, კარგად გვახსოვს, ისევე როგორც იმ ფშუკე დაფიცებიდან, ახალი წლის ღამეს ცხინვალში შევხვდებითო.

მაგრამ საქმე ამაში როდია. მთავარი ის არის, რა მიზანს ისახავდა სიმონა დოლიძესავით ტყეში გასული საქართველოს თავდაცვის მინისტრის მაშინდელი გმირული მარში აბრსკილის სამშობლოში?

თუ დაზვერვით ამოცანას, სწორედ რომ დაუფიქრებელ და არასწორ ნაბიჯად უნდა ჩავუთვალოთ.

ამბობენ, როცა დიდი სამამულო ომის დროს მარშალი ბუდიონი კავკასიის ფრონტის სარდლად დანიშნეს, სემიონ მიხაილოვიჩმა სამოქალაქო ომის პრაქტიკა მოიმარჯვა და პირადად თვითონ წავიდა დაზვერვაზე მტრის ზურგში. ეს რომ სტალინმა შეიტყო, კინაღამ ულვაშები დააგლიჯა, გერმანელებს რომ დაეჭირე, რა ამბავს ატეხავდნენ, მართლა მარშლად ჩამეთვლებოდიო და მოქმედ არმიას ჩამოაშორა.

ხოლო თუ რაიმე ტაქტიკისა და სტრატეგიის შესამუშავებლად მოვლო აფხაზეთი, საქვეყნოდ რად გაამხილა ეს საიდუმლო?

ეს ორი მომენტი უნებურად ამოტივტივდა, როცა ეიფელის კოშკის ფონზე საფირმო სიპირქუშით მჯდომ ბატონ ირაკლის ვუსმენდი.

მან ხაზი გაუსვა, რომ ქართული პარტია თავის თავზე იღებს მთავარ შემტევ როლს, რადგან სახალხო პარტიას არც ძალა და არც რესურსები არ აქვს თვითონ იყოს დამრტყმელი მუშტიო.

მაინც რას გვპირდებიან ამ უეჭველი გამარჯვების შემდეგ ქართპარტიელები? ირაკლი ოქრუაშვილმა თავისი იაკობინელი მეგობრების სახელით რამდენიმე ძირითად პუნქტს შორის დაასახელა უმთავრესი: რა პრივილეგიებითაც სააკაშვილის ბებია დღეს სარგებლობს, რევოლუციის შემდეგ ჩვენი ბებიებიც იმ სიკეთით ისარგებლებენო.

ისე რომ, იწყება ბრძოლა კაცობრიობის დიადი ოცნების აღსრულებისთვის: **„ბები, ბები, ჩემო ბები, ჩემო კარგო ბები, ოქროს სათვალეს გიყიდი, როცა დაბერდები!“**

ანუ იწყება ბრძოლა სააკაშვილის ბებიისთვის.

სააკაშვილის ბებია რევოლუციის ნიშნულია!

როგორც ბატონი ირაკლის სიტყვებიდან ჩანს, უკომპრომისო იქნება ეს ბრძოლა: „ვინც აპირებს საფლავში ჩაყვეს სააკაშვილის ხელისუფლებას, იცოდეს, არვის დავინდობთ!“

სავარაუდოა – არც მათ და არც მათ ბებიებსო!

გილიოტინის აჩრდილი დადის საქართველოში!

ალეკო ასლანიშვილი

**მთავარი თემა**

# სამართლიანი არჩევნები თუ რევოლუცია?



**„ინტერპრესნიუსი“ ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილს ესაუბრება.**

**– ბატონო ზაზა, ხელისუფლება აცხადებს, რომ „რვიანში“ შემავალ პარტიებთან ინდივიდუალურ კონსულტაციებს მართავს, ხოლო „რვიანში“ გაერთიანებული პარტიები აცხადებენ, რომ არ დაშლილან და ხელისუფლებას „ოპოზიციური რვიანის“ დაშლის საშუალებას არ მისცემენ. ასეთ ფონზე ბევრი რამ გაუგებარი და ბუნდოვანია. თუ ყველაფერ ამას დავუმატებთ, რომ ხელისუფლება თავის მხრივ დათმობას სისუსტედ აღიქვამს და 21 მაისამდე, ანუ თბილისში დაგეგმილ საპროტესტო აქციამდე, რაიმე სახის დათმობა გამოირიცხება, თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე და სავარაუდოდ, როგორ განვითარდება პროცესები?**

– ჩვენი ხელისუფლება ხომ ძალზე ხშირად დაუფარავი ცინიზმით მიმართავს ჩვენს ყველაზე ცუდ თვისებებს. ჩვენს მოუთმენლობასა და პარტიკულარიზმს ვგულისხმობ. ჩანს, ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ „რვიანშიც“ მსგავსი ტენდენციები გამოიკვეთება. ამასთან, ერთია, როდესაც იცი შენი საზოგადოების სუსტი მხარეების შესახებ და მეორეა, როდესაც მოურიდებლად ეყრდნობი მათ. ერთი ასეთი სისუსტეა უუნარობა, ჩვენი საპროტესტო განწყობები ერთიან პოლიტიკურ სტრატეგიად ვაქციოთ. პოლიტიკურად ხელისუფლების მოქმედება გამართლებულია. მორალურად კი, ვფიქრობ – საეჭვო. ბევრი რამ, წარმატების მომტანიც რომ იყოს, საკუთარ საზოგადოებას არ უნდა აკადრო, თუ მას პატივს სცემ და მხოლოდ დიადი აღმშენებლობის მასალად არ განიხილავ.

აქვე დავსვამდი კითხვას, რატომ მაინცადამაინც „რვიანი“ და რატომ არ იყენებენ მსგავს ძალისხმევას დანარჩენი ორი ძალის წინააღმდეგ. ვფიქრობ, აქ სრულიად მარტივი გათვლაა: „რვიანია“ სწორედ ის ძალა, რომელიც დასავლელ პარტნიორთა თანაგრძნობით სარგებლობს. ვიდრე ქვეყანაში ასეთი ძალები იარსებებენ, მით უმეტეს, თუ პოლიტიკური ინიციატივა მათ ხელში იქნება, სინგაპურის ყაიდის ავტორიტარიზმის ჩამოყალიბებას ძნელად თუ გაამართლებს ვინმე.

რადიკალური ძალები იოლად შეიძლება გაიტყუო კანონის ფარგლებს გარეთ და ამით ძალისმიერი ქმედებები გაამართლო. ამას კი ვერ იზამ იმ ძალის მიმართ, რომელიც თავის პრიორიტეტად დიალოგს მიიჩნევს. ამასთან, ისიც ვიცით, რომ „რვიანის“ აქილევსის ქუსლია სახალხო მხარდაჭერისა და თანაგრძნობის სისუსტე. თუმცა კი მისი, როგორც ერთიანი სუბიექტის არსებობა აშკარად ხელს უშლის ხელისუფლებას. ამიტომაც ურჩევნია, რომ „რვიანის“ ნაცვლად ცალკეულ სუბიექტებთან ჰქონდეს საქმე და დასავლეთის წინაშე წარუმატებელ მოლაპარაკებათა შთაბეჭდილება შექმნას. ხოლო პროცესების მომავალი განვითარება მთლიანად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეძლებს „რვიანი“ პოლიტიკური ინიციატივის ხელში აღებას.

**– არაფერია დრამატული იმაში, რომ ოპოზიცია ცდილობს, რაც შეიძლება მეტი დაათმობინოს ხელისუფლებას. თავის მხრივ ხელისუფლებაც ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ბერკეტები დაიტოვოს არჩევნებზე სასურველი შედეგის მისაღებად და ეს გასაკვირი სულაც არ არის. გასაკვირია, რომ არჩევნებთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე აღარც ხელისუფლება აკეთებს განცხადებებს, განმარტებებს და აღარც მოლაპარაკებებში მონაწილე ოპოზიციური „რვიანი“.**

**თქვენი აზრით, რატომ არ აცნობს საზოგადოებას ოპოზიციური პაკეტის მაკონტროლებლად მიჩნეული „რვიანი“ თავისი მოთხოვნების იმ ზღვარს, რომლის შემთხვევაშიც „რვიანი“ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს? და კიდევ, რამდენად საფუძვლიანია ექსპერტთა ეჭვი, თითქოს „რვიანის“ მხრიდან გარკვეული ზღვრის დაუწესებლობა იმას ნიშნავს, რომ „რვიანში“ შემავალი პარტიები ყველა შემთხვევაში მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას?**

– ნამდვილად არ ვიცი. ფაქტი ერთია – „რვიანს“ რომ დაესახელებინა კონკრეტული, თუ გნებავთ რიცხვებით გამოხატული ზღვარი, რის შემდეგაც შეუძლებლად მიიჩნევდა მოლაპარაკებებს, მეტი მხარდაჭერა ექნებოდა. ჩვენ ვიმყოფებით სიტუაციაში, როდესაც, მარტივად რომ ვთქვა, ახლა წყდება, თუ რას მოინდომებს რიგითი მოქალაქე: სამართლიან არჩევნებს, თუ – რევოლუციას. ასეთი აკადემიურობითა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მარტოოდენ რეგიონულ შეხვედრებზე დაყვანით, რიგით მოქალაქეს ვერ დაარწმუნებ, რომ მისთვის სამართლიანი არჩევნები სასიცოცხლო აუცილებლობაა. ძნელი დასაჯერებელია, რომ „რვიანის“ სუბიექტები იმ განმანათლებლური ილუზიის ტყვეობაში იმყოფებიან, თითქოს სულ რამდენიმე თვეში აკადემიური შეხვედრებით რადიკალურად შეცვლიან ჩვენს პოლიტიკურ კულტურას. არადა, სიტუაცია ამას ემსგავსება.

**– აშკარაა, რომ ხელისუფლება არსებული პოლიტიკური სისტემის არასრულყოფილებას აშკარად არ აცნობიერებს, რაც პრაქტიკულად იწვევს კიდეც პერმანენტულად საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვადასხვა სახის რყევებსა და ქვეყნის წონასწორებიდან გამოყვანის საფრთხეებს. თუ ხელისუფლება მაჟორიტარების 50%-ით არჩევის წესს მხარს არ დაუჭერს და საარჩევნო სიების დასაზუსტებლად რადიკალური ნაბიჯების გადადგმაზე უარს იტყვის, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ იმავე სურათს მივიღებთ, რაც დღეს გვაქვს, ანუ შემდგომი მოწვევის პარლამენტში „ნაცმოძრაობას“ ისევ საკონსტიტუციო უმრავლესობა ექნება.**

**ასეთ ვითარებაში, ლოგიკური ხომ არ იქნებოდა, „რვიანს“ სწორედ მაჟორიტარების 50%-ით არჩევის წესისა და სიების მაქსიმალურად დაზუსტება მოეთხოვა? გარდა იმისა, რომ ქვეყანა რევოლუციას აიცილებდა, საარჩევნო კანონმდებლობაში ამგვარი ცვლილება ერთმნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს, როგორც პოლიტიკური კულტურის ზრდას, ისე ქვეყანაში სრულფასოვანი კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების გაჩენას...**

– გეთანხმებით. სიების დაზუსტება უკვე ჩვენი ღირსების საქმედ იქცა. რაც შეეხება მაჟორიტარებს, რეალობა ხომ ყველამ კარგად ვიცით. ცხადია, „რვიანის“ მოთხოვნებს უფრო კონკრეტული და მოკლე ჩამონათვალის სახე უნდა ჰქონდეს. ამას მოითხოვს პოლიტიკური ტექნიკაც. ამგვარ ჩამონათვალს უბრალო ადამიანის თვალში, ცუდად რომ ერკვევა პოლიტიკისა და კანონის ნიუანსებში, უმალ სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე – სამართლებრივი, ხოლო ის, თუ რას ნიშნავს ამგვარი სიმბოლოები რეალურ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ბევრ განმარტებას არ უნდა საჭიროებდეს.

კარგად მახსოვს, როგორ მოითხოვდა რუსთაველზე შეკრებილი რამდენიმე ათასი ადამიანი, უზენაეს საბჭოში 201 დეპუტატი ყოფილიყო. გამსახურდიამ შეძლო და დაარწმუნა ისინი, რომ ეს მათთვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა, თუმცა, თუ მკითხავთ, ამას მაშინ ბევრი არაფერი გადაუწყვეტია. უბრალოდ, გამსახურდიამ შეძლო ადამიანების მობილიზება რაღაც იდეის ირგვლივ საიმისოდ, რომ კომუნისტურ ხელისუფლებაზე გამარჯვების პრეცედენტი შეექმნა. ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი რამ. საკმარისია, ოპოზიციამ სულ მცირე გამარჯვება მოიპოვოს ხელისუფლებაზე, რომ პოლიტიკური კონფიგურაცია მნიშვნელოვნად შეიცვლება. დარწმუნებული ვარ, თავის დროზე ოპოზიციას უყურადღებოდ რომ არ მიეტოვებინა ცესკოსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის პრობლემები, დღეს სულ სხვა სურათი გვექნებოდა. ეს კარგად იცის ხელისუფლებამ, მაგრამ არ იცის ოპოზიციის დიდმა ნაწილმა. ოპოზიციამ იცის მიზანი, მაგრამ ხშირად არ იცის ის საფეხურები, რომელთა უგულებელყოფასაც მარცხამდე მიჰყავხარ.

იხ. 4 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ აშშ-ს გეგმა საქართველოსთვის

# რატომ შეაშფოთა ჩვენი ხელისუფლება ამერიკელების სათაურმა?

## ასიმეტრიული აქცენტები საქართველოზე თუ კონფლიქტებში პროგრესის მიღწევის ნამდვილი შესაძლებლობა?!



**„1992-1993 წლებში ომგამოვლილ აფხაზებსა და ქართველებს სიკვდილის შიში ისე არა გვაქვს, როგორც ერთად ცხოვრებისა. განსაკუთრებული ვაჟკაცობა დაგვჭირდება ამ შიშის დასაძლევად... საკმარისი ნდობის, გამბედაობისა და კეთილგონიერების საფუძველზე ადამიანებს საკუთარი მომავლის შეცვლა ნამდვილად შეგვიძლია“, — ეს სიტყვები ირაკლი ალასანიას ეკუთვნის, რომელიც „საქართველოს კონფლიქტებში პროგრესის მოკლე ვადაში მიღწევის შესახებ“ ანგარიშს აქვს წამძღვარებული.**

კონფლიქტებში პროგრესის მიღწევა, შესაძლოა, ამ გადასახედიდან პესიმისტურადაც კი ჩანდეს, თუმცა ასეთი შანსი სრულებითაც არ მიაჩნიათ გამორიცხულ ვარიანტად ამერიკის პროგრესის ცენტრის თანამშრომლებს. კონფლიქტებისა და უსაფრთხოების საკითხების ექსპერტებმა **კორი უელოტმა** და **სამუელ ჩარაპიმ** გასული წლის დეკემბერში იმოგზაურეს აფხაზეთში, მოსკოვში, თბილისში, შეხვდნენ ოფიციალურ პირებს, მთავრობის მრჩევლებს, დამოუკიდებელ ექსპერტებს, აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლებს, ევროკავშირის მონიტორინგის წევრებს... ესაუბრნენ დეპუტატებს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირებს გორსა და ზუგდიდში. ამ ინტერვიუებზე დაყრდნობით კი მათ 84-გვერდიანი ვრცელი დოკუმენტი მოამზადეს. ანგარიში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისთვის რეალური სურათის დასახატად უფროა გაკეთებული, თუმცა აშკარად არის გამოკვეთილი მათი ხედვა, როგორ შეიძლება იყოს ნაპოვნი გამოსავალი, როგორც თავად წერენ „ჩიხური სიტუაციიდან“.

ამ ანგარიშის მათ მიერვე ნათარგმნი ქართული ვარიანტი უკვე მიიღეს საქართველოში და ის გამოსცა თბილისის კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრმა, ფრიდრიხ ებერტის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტის პრეზენტაცია სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა, სადაც მოწვეული იყვნენ ქართველი ექსპერტები და პოლიტიკური პარტიები.

**გიორგი ხუციშვილმა,** რომელიც კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების ცენტრის ხელმძღვანელია, საკმაოდ საინტერესო მოსაზრება გააცნო საზოგადოებას: **„ერთი რამე მინდა აღვნიშნო,** — განაცხადა მან, — **თუკი პუბლიკაციის ავტორები ამბობენ, რომ საქართველოს კონფლიქტები აქვს ოსეთთან, აფხაზეთთან და რუსეთთან, ეს პოზიცია მიუღებელი აღმოჩნდა ჩვენი მთავრობისთვის. აქ მიიჩნევენ, რომ ჩვენ მხოლოდ ერთი კონფლიქტი გვაქვს, რუსეთთან, რომლის შემადგენელი ნაწილია აფხაზეთი და ოსეთი. ანუ ამერიკელების სათაურმა ხელისუფლება ძალიან შეაშფოთა“.**

რა ძირითადი ვერსია შემოგვთავაზეს ამერიკელმა ავტორებმა? — ეს არის სამი უმთავრესი საკითხი: რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის შესახებ ვალდებულების აღება; საქართველოს მთავრობასა და აფხაზეთისა და ოსეთის ხელისუფლებებს შორის ორმხრივი ხელშეკრულებების დადება ჰუმანიტარული და ადამიანის უსაფრთხოების საკითხების მოგვარების მიზნით; ცვლილებების შეტანა საქართველოსა და რუსეთის იმ არსებულ პოლიტიკაში, რომელიც ხელს უშლის კონფლიქტებს. ყველა ეს კომპონენტი დეტალურად არის განხილული ანგარიშში და საკმაოდ საფუძვლიანად. რაც შეეხება ორმხრივი უსაფრთხოების საკითხს, ავტორები მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ: **„აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, აღნიშნული დოკუმენტები დაადასტურებენ საქართველოს მიერ ადგილობრივი ხელისუფლების, როგორც პოლიტიკური სუბიექტების და პრაქტიკული პარტნიორების აღიარებას. მათ ასევე შეუძლიათ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა დაარწმუნონ, რომ საქართველო ჭეშმარიტად მხარს უჭერს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესს და აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საზოგადოებებს შორის ურთიერთობას. საქართველოსთვის ეს დოკუმენტი იქნება დამატებითი დამადასტურებელი საბუთი მისი გულწრფელობისა და კეთილი ნებისა მშვიდობიანი ურთიერთობის სტრატეგიის მიმართულებით. ისინი ასევე ხელს შეუწყობენ გალისა და ახალგორის რაიონების მოსახლეობის საცხოვრებელი პირობებისა და უსაფრთხოების გაუმჯობესებას, საფუძველს ჩაუყრიან გადაადგილების თავისუფლებასთან და იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხების უფრო ფართო სპექტრის მოგვარებას“.**

ანგარიშის ქართული ტექსტის რედაქტორის შორენა ლორთქიფანიძის თქმით, რაც მთავარია, ავტორები ამბობენ, რომ 2008 წლის ომი იყო „განუზრახავი“, წინაპირობების მიუხედავად. თითქოს არც ერთ მხარეს არ სურდა ომი, რაც ერთგვარად ამარტივებს სიტუაციას.

ექსპერტი **გია ვოლსკი** ამბობს, რომ ეს ნაშრომი განხორციელებადია. ამ კონფლიქტებიდან აფხაზებისა და ოსების გარიყვა კი ჩვენს ხელისუფლებას არავითარ სტრატეგიულ პერსპექტივას არ აძლევს, ამიტომ, გაუგებარია, რატომ ეჭიდებიან ამ თემას? **„მართალია, დღეს რუსეთს აქვს უპირატესობა, ძირითადად ის არის ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგე, მაგრამ იმის ძიება და მიღწევა უფრო მნიშვნელოვანია, როგორ გაიყვანოს საქართველომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დასავლეთზე, რუსეთის გვერდის ავლით. „ჩართულობა აღიარების გარეშე“ — ეს თეზაც ამერიკელი ექსპერტების შემოთავაზებულია, რაც ძალიან ახლოს დგას ანგარიშში მოცემულ კონცეფციასთან“.**

პოლიტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილიც** მიიჩნევს, რომ ეს მიდგომა გამართლებულია. **„სამი კონფლიქტია მკაფიოდ გამოკვეთილი, თუმცა ხელისუფლება მხოლოდ ერთს აღიარებს, რაც მანკიერი პოლიტიკაა. ჩვენი დასავლელი მეგობრები გვიკიჟინებენ: გამონახეთ საერთო აფხაზებთან და ოსებთან. თუკი დავიწყებთ პირდაპირ დიალოგს აფხაზებთან და ოსებთან, ამით ძალიან შევასუსტებთ რუსულ გავლენას. ამისთვის ათასობით მიზეზის გამონახვა შეიძლება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ შანსს არ ვიყენებთ“.**

ექსპერტმა **კახა გოგორიშვილმა** დოკუმენტში ტენდენციური პასაჟები აღმოაჩინა: **„ანგარიშში საქართველოსგან ძალიან ბევრს მოითხოვენ. მაგალითად, საქართველოს მთავრობამ უნდა განაცხადოს, რომ ის არ ცნობს ჩერქეზი ხალხის გენოციდს. არა მგონია, ეს ამერიკის მთავრობის პოზიცია იყოს და დემოკრატიულმა ქვეყანამ ასეთი აბსურდული აზრი გამოთქვას. ასევე ნათქვამია, რომ საქართველო არ უნდა მიემხროს საერთაშორისო ბოიკოტს. კი მაგრამ, ვთქვათ, ოლიმპიადასთან დაკავშირებით, ოკუპირებული აფხაზეთის გამო, თუკი სხვა რომელიმე ქვეყანა ბოიკოტს გამოაცხადებს, საქართველო მას არ უნდა შეუერთდეს?! განხილულია ვიზების საკითხიც. მაგალითად, საქართველომ რუსეთის მოქალაქეებისთვის ცალმხრივად უნდა დაუშვას უფასო ვიზები, როცა რუსეთს სთავაზობენ, რომ ვიზებზე ფასები შეამციროს და პროცედურები გაამარტივოს. ესეც გაუგებარია. ჩემი აზრით, ანგარიშში საქართველოზე აქცენტები ასიმეტრიულად არის გაკეთებული“.**

რესპუბლიკელი **თინა ხიდაშელი** ამ მოსაზრებას დაეთანხმა, თუმცა მან ამერიკელი ავტორების გადაწყვეტილებაში პრაგმატული მიზნები ამოიკითხა: **„ვინაიდან საქართველო არის დაინტერესებული მხარე, კონფლიქტები მოაგვაროს, სწორედ ამიტომაც არის დისპროპორცია დოკუმენტში. აშშ ჩვენგან უფრო მეტის დათმობას და ხისტი მიდგომების შეცვლას ითხოვს. ჩვენ აპელირებულები ვართ ერთზე, რომ კონფლიქტი გვაქვს რუსეთთან. ამით აფხაზებსა და ოსებს, ირიბად თუ პირდაპირ ვეუბნებით, რომ თქვენ მარიონეტები ხართ და ასე კიდევ უფრო ვაშორებთ მათ საქართველოსგან. ამ ხალხის უმეტესობა გულწრფელად იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის და არა იმისთვის, რომ რუსეთის პროვინცია ყოფილიყო. მათ არ ახარებთ ის ფაქტი, რომ ჯიბეში რუსული პასპორტი უდევთ. ამდენად, თუ ჩვენი მთავრობა პოლიტიკას შეცვლის და აღიარებს, რომ კონფლიქტი გვაქვს ამ რეგიონებთან, ამით უფრო მეტს ვიგებთ, ვიდრე ვაგებთ“.**

აზრის სხვადასხვაობის მიუხედავად, ექსპერტები აღიარებენ, რომ ამერიკელი ავტორების გეგმა მისაღებია, მაგრამ მთავარია ის ხელისუფლებამაც აღიაროს და საამისოდ მექანიზმებიც აამოქმედოს, რათა რჩევები და რეზოლუციები მხოლოდ თეთრ ფურცელზე დაწერილ თეზისად არ დარჩნენ.

**ჩვენს** კითხვაზე — იცნობენ თუ არა ამ დოკუმენტს რუსეთში, აფხაზეთსა და ოსეთში? გიორგი ხუციშვილმა გვიპასუხა, რომ დოკუმენტის რუსულად თარგმნის პროცესი ჯერ არ დასრულებულა: **„მართალია, ვიწრო წრეებში უკვე იცნობენ ამ ანგარიშს, მაგრამ მისი საჯარო განხილვა არ დაწყებულა. ჩემი აზრით, ამ დოკუმენტს უფრო დიდი ინტერესით ელოდებიან სოხუმში, ვიდრე ცხინვალში, რადგან ავტორებმა აფხაზეთში ჩასვლა შეძლეს და ადგილობრივ მთავრობასაც შეხვდნენ. ჩვენ კონტაქტები გვაქვს, ამიტომ ვეცდებით გავარკვიოთ და მოგაწოდოთ მათი დამოკიდებულების შესახებ ინფორმაცია“** — დასძინა მან.

**თეა მოსია**

◉ მთავარი თემა

# სამართლიანი არჩევნები

(მესამე გვერდიდან)

იოლი თამაში ისეთი სასაზღვრო ცნებებით, როგორებიც არის რევოლუცია, დამხობა და სხვანი, პოლიტიკური ინფანტილიზმია, ისევ სააკაშვილის წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან მიუღებელია ჩვენი დასავლელი პარტნიორებისათვის და რიგითი ადამიანის პროტესტსაც ქარს ატანს.

— სხვა საკითხია, რამდენად შედეგიანი შეიძლება აღმოჩნდეს „სახალხო კრების“ და „ქართული პარტიის“ აქტივობა, მაგრამ საკითხი სხვაგვარადაც შეიძლება დაისვას: თუ ე.წ. რადიკალური ოპოზიციის ლიდერებს, რომლებსაც პოლიტიკური საქმიანობის დიდი გამოცდილება აქვთ, გაცნობიერებული აქვთ, რომ ქვეყანაში რევოლუციით ხელისუფლების ცვლა ნაკლებად სავარაუდოა, ხოლო რევოლუციაზე საუბრები არც ქვეყნის დემოკრატიზაციას და არც მეტ-ნაკლებად მისაღებ საარჩევნო კანონმდებლობის მიღებას ხელს არანაირად არ უწყობს, მაშინ გაუგებარია მათი პოლიტიკური აქტიურობის მიზანი. — არა მგონია, ბევრ მათგანს ესმოდეს, რომ ასე მიზანი არ მიიღწევა და ამით მუდმივად უნაყოფო რევოლუციური პროტესტის მდგომარეობაში დავრჩებით. გარდა ამისა, თუ ოპოზიციონერი პოლიტიკოსი დღეს საარჩევნო გარემოს პრობლემას უგულვებელყოფს, ნება მომეცით, ჯერ ერთი, ეჭვი შევიტანო, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში იგი იმავე სიტუაციას არ დატოვებს და შედეგად ახალი პოსტრევოლუციური ავტორიტარიზმი არ გვექნება; გარდა ამისა, ისიც შეიძლება ვივარაუდო, რომ მას მხოლოდ სამიტინგო-რევოლუციურ სიტუაციაში ეიმედება ხელისუფლებაში მოსვლა.

ახლა სხვა მხრიდან შევხედოთ პრობლემას. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ოპოზიციურ ძალებს შორის ხისტი დაპირისპირება ხელისუფლების მიერ არის პროვოცირებული. მაშინ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელისუფლებას მართვადი ქაოსის სიტუაციისათვის მიუღწევია. ასეთი ხისტი დაპირისპირება მისთვის საუკეთესო საშუალებაა მმართველობის შესანარჩუნებლად. რადიკალურ ოპოზიციას ძალისმიერი მეთოდებითა და მის სუბიექტებს შორის კონფლიქტის პროვოცირებით მოუვლის, ხოლო ზომიერს, უბრალოდ, არაფერს დაუთმობს.

ოპოზიციამ სააკაშვილს ლამის მართვადი ქაოსის იდეალური სიტუაცია შეუქმნა. ასე პოლარულად დაპირისპირებული რადიკალური ძალების შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს რეალური ალტერნატიული პოლიტიკური ძალა, ხელისუფლებას მხოლოდ საკმარისი პოლიტიკური ტექნიკა სჭირდება საიმისოდ, რომ სიტუაცია აკონტროლოს. გარეგნულად სიტუაცია ქაოტური იქნება, რეალურად კი — კონტროლირებადი. ხელისუფლების ლოგიკა ამ შემთხვევაში ასეთია: თუკი პროტესტი არსებობს, იგი ერთმანეთთან რადიკალურად დაპირისპირებულ პოლუსებში უნდა გაიბნეს. პოლიტიკური ტექნიკის თვალსაზრისით ამას ვერაფერს დაუწუნებ. მოსალოდნელი შედეგი იმდენად ბანალურია, რომ მხოლოდ ძალაუფლებისთვის ბრძოლის აზარტი თუ დაგაბრმავებს კაცს. ჩამოყალიბ-

→

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

გლობუსი

# პოლიტიკური სტრუქტურის სისუსტე თუ დახვეწა?

**არაბულმა რევოლუციებმა, ბინ ლადენის ლიკვიდაციამ, სხვა მოვლენებმა მსოფლიოს საზოგადოების ყურადღება გაანელა ირანის ბირთვული პროგრამის მიმართ.**

თითქმის ორ თვეზე მეტია აღარ ისმის ამ ქვეყნის ბირთვული ამბიციების შესახებ, თითქოს არასდროს ყოფილიყო, რაც თავისთავად ბადებს კითხვას — არის თუ არა ბირთვული ირანი ისეთივე საშიში მსოფლიოსთვის, როგორსაც თუნდაც ორი თვის წინათ დასავლური მედია წინასწარმეტყველებდა. **მაშინდელი განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ ირანის ბირთვული კვლევით მსოფლიოს აპოკალიფსი ახლოვდებოდა. ორი თვის სიყუჩემ გვაჩვენა, რომ არც ისე კატასტროფულად ყოფილა საქმე, როგორც ამას მედია ხატავდა, რამეთუ ვერც არაბულ სამყაროში მიმდინარე ბუნტი, ვერც ნომერ პირველი ტერორისტის სიკვდილი ვერ გადაფარავდა ირანიდან წამოსულ ცუნამს, მას, რომ მართლა ჰქონოდა ადგილი.** როგორც ჩანს მაზოხიზმით შეპყრობილ მსოფლიოს ნეგატიური ამბების მოსმენა ერთგვარ კმაყოფილებას გვრის. სხვას ვერაფერს მივაწერთ წყალდიდობების, მეწყერების, მიწისძვრების, ხანძრების, განსაკუთრებით მკვლელობების პირველ პლანზე წამოწევას, პერმანენტულ ჩვენებას ელექტრონულ მედიაში. **საზოგადოებას მოსწონს მძაფრსიუჟეტიანი ნიუსები, რომელთა წინაშე ცნობილი ამერიკელი რეჟისორის ალფრედ ხიჩკოკის შემოქმედებაც ფერმკრთალდება. ირანის ბირთვული კვლევის პროგრამა ისე ვერ შეანჯღრევს დასავლელთა აწონილ-აზომილ ყოველდღიურობას, როგორც სირიის ხელისუფალთა მიერ დემონსტრანტთა დასჯის სცენები ან ლიბიაში მიმდინარე ომის საშინელებანი. დასავლეთმა ახალი „სათამაშო" იშოვა უფრო მძაფრსიუჟეტიანი, ვიდრე ირანის ბირთვული პროგრამა, რამაც თავისთავად მივიწყებას მისცა ირანი. დღეს, თუ ირანს იხსენებენ, მხოლო შიდა პოლიტიკური დაპირისპირების გამო. დასავლურმა ტელეკომპანიებმა, მისთვის ჩვეული ინტერესით გვაუწყეს ირანის წინამძღოლ აიათოლა ხამენეისა და პრეზიდენტ აჰმადინეჟადის დაპირისპირების ამბავი. მანამდე კი არაბულმა პრესამ გაავრცელა ცნობა, რომ აიათოლა ხამენეის სურს აჰმადინეჟადის გადაყენება.**

სანდო ირანული წყაროების მიხედვით ბოლო დროს მართლაც შეინიშნება ორი უმაღლესი თანამდებობის პირის დაპირისპირება. ყოველივეს საფუძველი გაუმყარა აჰმადინეჟადის მიერ მინისტრთა კაბინეტის სხდომის იგნორირებამ — ზედიზედ ორჯერ. წყაროს მიხედვით აჰმადინეჟადმა ამით გამოხატა საკუთარი უკმაყოფილება ქვეყნის წინამძღოლის გადაწყვეტილების მიმართ — პრეზიდენტის მიერ გათავისუფლებული ინფორმაციის მინისტრი აიათოლა ხამენეიმ თანამდებობაზე დატოვა. ქვეყნის წინამძღოლი მზადაა არ დაუშვას მაღალ თანამდებობაზე მასთან შეთანხმების გარეშე პრეზიდენტის დანიშვნები. იგივე პროცედურა შეეხება თანამდებობიდან გათავისუფლებასაც.

წინამძღოლ-პრეზიდენტის დაპირისპირების კულმინაციამ ინფორმაციის მინისტრის გადაყენების დროს იჩინა თავი. ეს სამინისტრო რიგითი არ არის, მას ირანელთა განმარტებით დაზვერვის სამინისტროს სახელი უფრო შეეფერება. პრეზიდენტსა და ინფორმაციის მინისტრ მოსლეჰის შორის უკმაყოფილების ჩამოგდებას ირანელები რუხ კარდინალ მაშაის მიაწერენ, რომლის ქალიშვილი ცოლად ჰყავს პრეზიდენტის ვაჟს. **პრეზიდენტის მიერ წინამძღოლთან შეთანხმების გარეშე მინისტრის გათავისუფლება პირველი არ არის. რამდენიმე თვის წინათ საგარეო საქმეთა მინისტრობიდან დაითხოვეს მანუჩეხრ მოთაქი, თანაც მისი სენეგალში ოფიციალური ვიზიტის დროს. საკუთარი დათხოვნის შესახებ მინისტრმა მასპინძლებისგან შეიტყო. პრეზიდენტის მიერ გათავისუფლებული მინისტრები კლერიკალური წრეების მხარდაჭერით სარგებლობდნენ.** სწორედ ამან გამოიწვია სასულიერო პირთა უკმაყოფილება. აიათოლა ხამენეიმ საჯაროდ გააკრიტიკა აჰმადინეჟადის მოქმედება, რასაც ადგილი არ ჰქონია მის თითქმის შვიდწლიანი პრეზიდენტობის დროს. სასულიერო ელიტა კარგა ხანია ეჭვის თვალით უყურებს პრეზიდენტის მოქმედებას. მისი აზრით პრეზიდენტი ცდილობს, თავი დაიძვრინოს კლერიკალური გავლენისაგან.

შექმნილი პოლიტიკური დავის უკეთ გასაგებად საჭიროა რამდენიმე მაგალითის მოყვანა, რომელიც ნათელს მოჰფენს იმ სახელმწიფოებრივ სტრუქტურას, რომელიც ირანის რევოლუციის ლიდერმა აიათოლა ხომეინიმ შექმნა.

ირანის წინამძღოლად ითვლება ხალხის მიერ არჩეული ექსპერტების არჩეული სასულიერო პირი. ასეთად შეიძლება იყოს ადამიანი — სამართლიანი, ღვთისმოსავი, ჯანსაღი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ხედვით, გამორჩეული გონიერებით, სიმამაცით, ხელმძღვანელობის უნარით. **ირანის კონსტიტუციის 110-ე მუხლში წერია — წინამძღოლს შეუძლია „თავისი მოვალეობის შეუსრულებლობის გამო, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, რესპულიკის პრეზიდენტის გადაყენება უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ან ისლამური საბჭოს კრების სანქციით". კონსტიტუციის 113-ე მუხლში წერია, რომ „რესპუბლიკის პრეზიდენტი, წინამძღოლის შემდეგ, ქვეყანაში უმაღლეს ოფიციალურ პირად ითვლება".**



შიიტურ ირანში რევოლუციის გამარჯვებიდან დღემდე ადგილი არ ჰქონია სასულიერო და საერო სფეროების მკვეთრ გამიჯვნას. მორწმუნე მუსლიმანის ამქვეყნიური ცხოვრება, მისი დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი უნდა ემყარებოდეს ყურანის ნორმებს. უზენაესი ხელისუფლების ლეგიტიმურობის წყაროს იმამთა ინსტიტუტი წარმოადგენს. რევოლუციის ლიდერი აიათოლა ხომეინი ასე ამართლებდა ინსტიტუტის არსებობას — **„ალაჰს, რომ კანონიერებისა და წესრიგისთვის იმამი არ განემწესებინა ხალხის სამწყემსად, რწმენა განიცდიდა ლპობას, გაქრებოდა ადათ-წესები, შესაძლოა საერთოდ გამქრალიყო ისლამი. ალის, რომ არ დაეყენებინა ხალხის წინამძღოლი, ინსტიტუტები, წეს-ჩვეულებები, ისლამის რიტუალები მოექცეოდა უცხო გავლენის ქვეშ, განიცდიდა ცვლილებას, რასაც მოჰყვებოდა კაცობრიობის ჭეშმარიტების გზიდან გადაცდენა".**

შიიტი მუსლიმანებისთვის უმაღლესი ძალაუფლება უხილავი იმამი მაჰდიდან მოდის, რომლის მოსვლამდე იმამთა ინსტიტუტი ასრულებს მაჰდის საქმეს. შიიტური სასულიერო ელიტა აიათოლებისგან შედგება. სიტყვა „აიათოლა" არაბულია — „აიატტუ ლლახ" (ღვთის ნიშანი). ირანში 85 აიათოლა და 40 უზენაესი აიათოლაა. როგორც წესი უზენაესი აიათოლების საშუალო ასაკი 75-80 წელია. აიათოლა შეიძლება გახდეს მართლმსაჯულებისა და რელიგიური ფილოსოფიის მცოდნე მუსლიმანი. მან თავის ირგვლივ უნდა შემოიკრიბოს მოსწავლეები. როდესაც აიათოლას დარიგება ირანის მთელ რეგიონზე ან მთლიანად მთელ ქვეყანაზე ვრცელდება, ის უზენაესი აიათოლას სტატუსის მატარებელი ხდება. **ქვეყნის დღევანდელი წინამძღოლი აიათოლა ხამენეი, რევოლუციის ლიდერის აიათოლა ხომეინის გარდაცვალების შემდეგ ჩაუდგა ქვეყანას სათავეში. ქვეყნის წინამძღოლი ნაკლებად იზიარებს ულტრა რელიგიურ მოსაზრებებს. ის შორს არის რელიგიური ფანატიზმისგან. ხამენეი ერთობ განსწავლული პიროვნებაა — ახალგაზრდობაში პოეზიით და პროზით იყო გატაცებული. ხამენეი იცნობს დანტეს, ლევ ტოლსტოის, შოლოხოვის შემოქმედებას, იცის ევროპული ფილოსოფია, აფასებს ჟან-პოლ-სარტრს. განათლებით არც პრეზიდენტი აჰმადინეჟადია დასაწუნი. პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყებამდე აჰმადინეჟადი თეირანის უნივერსიტეტში ასწავლიდა, არის პროფესორი და აღზრდილი ჰყავს არაერთი ახალგაზრდა მეცნიერი. აჰმადინეჟადი მომხრეა ქალების მაღალ თანამდებობაზე დანიშვნის. თანამედროვე ირანში ქალი მინისტრი იშვიათობა არ არის.**

2009 წლის არჩევნებში ქვეყნის წინამძღოლმა მხარი დაუჭირა აჰმადინეჟადის, რითაც წერტილი დაუსვა ოპოზიციის პრეტენზიებს. სწორედ ამან გამოიწვია ოპოზიციის მომხრეთა მოთხოვნა წინამძღოლის გადადგომის თაობაზე. აჰმადინეჟადი ოსტატურად ცდილობს, აწარმოოს მოქნილი პოლიტიკა უზენაეს კონსერვატორ და ლიბერალ აიათოლებს შორის. მათში ბევრია ისეთი, რომლებიც არ იზიარებენ პრეზიდენტის პოლიტიკას — გამოვიდეს კლერიკალთა გავლენიდან.

აჰმადინეჟადის კიდევ ერთი ნაბიჯი დამოუკიდებლობისაკენ, არის წმინდა ქალაქ ყუმის გრანდიოზულ მეჩეთ ჯამკარანში ლოცვა. ამ მეჩეთში მლოცველთა ხმა პირდაპირ მიდის მაჰდისთან. ასეთი ქცევით აჰმადინეჟადი უარს ამბობს მასა და მაჰდის შორის შუამავალზე, ისეთზე, როგორიცაა ხამენეი. აჰმადინეჟადს მხარს უჭერენ ისლამის რევოლუციის გუშაგები. ირანული წყაროების ბოლო ინფორმაციის მიხედვით პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის აღიარებს კლერიკალთა სამართლიან მოთხოვნებს და მზადაა დაემორჩილოს მათ.

ირანის ორი შტოს ლიდერის დაპირისპირება არ არის სახელმწიფო სისტემის ნაკლები მდგრადობა. ირანის რევოლუცია 30 წელზე ოდნავ მეტს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში მან მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, განსაკუთრებით საერთაშორისო არენაზე თავისი ავტონომიურობით. წინამძღოლისა და პრეზიდენტის დაპირისპირება წამითაც არ ნიშნავს სახელმწიფო სისტემის სისუსტეს, პირიქით, მიმანიშნებელია ამ სისტემის დახვეწის მზადყოფნისკენ.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

მთავარი თემა

# თუ რევოლუცია?

დება ხელისუფლება, რომელიც უბრალო ადამიანებს არ ეყვარებათ, მაგრამ მის რეალურ ალტერნატივას ვერ დაინახავენ და ყველა ერთად გასწევს, რათა ისევ შეჩვეულ ჭირს მისცენ ხმა.

ამგვარ პერსპექტივას სახარბიელოს ვერ უწოდებ ვერც ოპოზიციისათვის და ვერც ხელისუფლებისათვის. თუ ყველაფერი ასე წავიდა, ჩვენ მემკვიდრეობითი ავტორიტარიზმის წლები გველის. ძნელი წარმოსადგენია, ამგვარი სიტუაცია აწყობდეთ ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, ვინც 2003 წლის მოვლენებს თავისი შინაგანი რწმენით ემსახურებოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს მათ ისტორიის წინაშე აკისრებს პასუხისმგებლობას. ისე კი, ეს სიტუაცია ზედმიწევნით ხელსაყრელი იქნება იმათთვის, ვინც დღეს მართალია, პარლამენტშია, მაგრამ ვისი სახელიც ძნელად თუ გაგახსენდება კაცს. სწორედ ესენი აყალიბებენ და კვლავაც ჩამოაყალიბებენ ავტორიტარული მმართველობის მთელს ვერტიკალს.

ყველაფერი ეს საიმისოდ აღვწერე, მეჩვენებინა, თუ როგორი უპერსპექტივოა ოპოზიციის დღევანდელი სახე. ამ სიტუაციაში, აღწერილის გარდა, სხვა ვერაფერს მივიღებთ. გვეყოლება ახალი და მოკლევადიანი მესიები და ეგ არის. კულუარული თუ საჯარო გარჩევები და ერთმანეთისათვის პოლიტიკური ინიციატივის წართმევის მცდელობები სხვას ვერაფერს მოგვცემს.

თუმცა ისიც არის, რომ ოპოზიციის სამივე სუბიექტისგან ბოლო დღეებში გაისმა გზავნილები, რომლებიც არა მგონია, მეჩვენებოდეს, საერთო სტრატეგიისათვის ნიადაგის მომზადების მზაობას გამოხატავენ. ის წერტილოვანი დარტყმების ტაქტიკაც, რომელსაც რადიკალური ოპოზიცია დაადგა კორუმპირებულთა მხილებით, ამ საერთო სტრატეგიაშიც შეიძლება ჩაიწეროს. სხვაგვარად, ვიმეორებ, დღევანდელი სიტუაცია უპერსპექტივოა და მხოლოდ ხელისუფლებისთვის ან მავანი სიტუაციური ლიდერისათვის არის ხელსაყრელი. შეძლებს თუ არა ოპოზიცია თვითორგანიზებას და შევძლებთ თუ არა ჩვენ, ვაიძულოთ მისი სუბიექტები, თავისი პარტიკულარიზმი დაძლიონ, ვერ გეტყვით. ფაქტი ერთია, ვფიქრობ, ჩვენ ყველა, ვისაც ამის შესაძლებლობა გვაქვს, ვალდებულები ვართ, როგორმე ვაიძულოთ, რომ საქმე ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრის ფორმირებისაკენ წავიდეს, რომელშიც გაერთიანდებიან დღევანდელი პოლიტიკური კლუბებიცა და რევოლუციონერ რადიკალთა ჯგუფებიც. კონსენსუსს საკმაოდ დიდი კულტურა უნდა, პირველ რიგში — ყოფითი კულტურა. არ შეიძლება, ჩვენი ბედი ცალკეულ პირთა დაპირისპირებაზე იგებოდეს და პრინციპები პოლიტიკურ კულუარებს ეწირებოდეს.

მათრახისა და თაფლაკვერის პოლიტიკის შესახებ ყველას გაგვიგია. მას მხოლოდ გაბატონებული ძალა არ იყენებს. დემოკრატიის ერთ-ერთი ნიშანი ის არის, რომ თავად საზოგადოებაც იყენებს მას ხელისუფლების წინააღმდეგ. მოლაპარაკებები და მასობრივი გამოსვლები ის ორი ინსტრუმენტია, რომლითაც ხელისუფლებას დათმობებზე წასვლა უნდა ვაიძულოთ. რომელიმე მათგანზე უარის თქმა, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია. დღეს კი თვალს ვადევნებთ სიტუაციას, როდესაც ჩვენი პოლიტიკოსები რომელიმე ერთი მეთოდის ტყვეობაში ექცევიან და თავი ველარ დაუღწევიათ მისთვის.

**კობა ბენდელიანი**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

№ 88. ხუთშაბათი, 12 მაისი, 2011 წელი.

◉ გაბრაზებულ გულზე

# ვამბობ სტალინს და მეამაყება ჩემი ქართველობა!

ჯერ ქუთაისში დიდების მემორიალი ააფეთქეს, შემდეგ, გორში სტალინის ძეგლი „მოიპარეს“ შუაღამისას და აგერ ახლა, 9 მაისის 8 მაისად გადაკეთების პროცედურები დაიწყეს. და ეს ყველაფერი ვითომდაც ე.წ. ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მოტივით კეთდება.

არადა, მეტ-ნაკლებად წიგნიერი ადამიანისთვის, იმთავითვე ცხადი იყო და დღეს მით უმეტეს აშკარაა, რომ ეს „მოტივიც“ იმ ოპერიდან არის, რასაც ყოველივე „რევოლუციამდელთან“ ბრძოლა, ისტორიის გადაკეთება ჰქვია, ანუ ერთი ხატოვანი გამოთქმის არ იყოს, „ვარდების რევოლუციამდე“ „იყო ბნელი და უკუნი“ და მიშას გენიით გაბრწყინებული საქართველო კი არ მიდის, მირბის „მშობლიური ევროპისაკენ“.

ჰოდა, ამ 8 მაისს, გამარჯვების პარკში, რომელსაც ვაკის პარკსაც ვეძახით ხოლმე, გამოჩნდა ჩვენი უღლეური მთავრობის დელეგაცია, სადაც ამ ჩვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა დაახეთქა – მთელი ევროპა-ამერიკა 8 მაისს ზეიმობს ფაშიზმზე გამარჯვებას და ჩვენ რა გვჭირს, რომ დღესაც კომუნისტების მიერ თავსმოხვეულ 9 მაისს აღვნიშნავთ იგივეს, რას იტყვის ევროპაო! ესეც არ იკმარა და რუსეთის პრეზიდენტს კლოუნი უწოდა. ეს კი დიპლომატიაში დაახლოებით იგივეა, რაც ნინო ანანიაშვილის საბალეტო სპექტაკლის დროს უშვერი სიტყვებით გინება იქნებოდა. მაგრამ ეგ იქით იყოს...

იქვე შესაბამისი, უღლეური კომენტარები გააკეთეს ჩვენმა „ტანადმა“ (ვასიკო ოდიშვილის ღადაობის მიხედვით) ქალაქის მერმა გიგი უგულავამ და პარლამენტის უთავმოყვარეო თავმა დავით ბაქრაძემ. მაგრამ, როგორც იტყვიან, კვანძის გახსნა 9 მაისის „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში მოხდა, თეა სიჭინავას სტუმრების, ახლახან „გამოჩეკილი“ არასამთავრობო (იქნებ ყველაზე სამთავრობო? – ავტ.) ორგანიზაცია „კოალიცია ევროპული საქართველოსთვის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის და ლიდერის ლევან ჩოლოყაშვილის და მისი „ლაითად“ ოპონენტის, რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილის მიერ.

ეს ის „თავადიშვილი“ ლევანაა, რომელიც არაერთხელ გვინახავს, ჯერ კიდევ არასამთავრობო ბიზნესის დაწყებამდე, როგორც სექსუალური უმცირესობების, ანუ, ჩვენებურად და უფრო გასაგებად, პედერასტების დამცველი, ეკლესიის, მისი უწმინდესობის უწმინდური განმქიქებელი და აქედან გამომდინარე თეა თუთბერიძის ალი-კვალი, ათასი ჯურის სექტების ლობისტი, ერეკლე დეისაძეების მკრეხელობების, ე.წ. გამოხატვის თავისუფლებით გამმართლებელი. და ა.შ. ერთი სიტყვით, „ლიბერასტული“ ლათაიების დიდოსტატი.

რაც შეეხება დავით ზურაბიშვილს, იგი რესპუბლიკელებში, სხვებთან შედარებით ეროვნული ლექსიკით გამოირჩევა, მაგრამ სწორედაც რომ, სხვებთან შედარებით და ამიტომ მოვიხსენიე „ლაითად“ მისი ოპონირება - რა ქნას, იქნებ სურვილი აქვს კიდეც, მაგრამ მეტის უფლებას შიდაპარტიული დისციპლინა არ აძლევს ალბათ. მაგრამ ამაზე ქვემოთ და შესაბამისი მაგალითების, გნებავთ მტკიცებულებების თანხლებით.



მოკლედ დაიწყო, მაგრამ, რა დაიწყო ლევან ჩოლოყაშვილმა „ჩოყლოყი“, სხვას ვერაფერს ვუწოდებ მის ამაზრზენ საუბარს! თურმე ნუ იტყვით და მთელი ევროპა, რომელმაც ყველაზე მეტი ზარალი ნახა (მაშ „მტყუანის“?! – ავტ.) მეორე მსოფლიო ომში, 8 მაისს ზეიმობს ფაშიზმზე გამარჯვებას და ჩვენც ასე უნდა ვქნათ, 66 წლის მერე მაინც აღვადგინოთ ისტორიული სამართლიანობა – სტალინის მიერ თავსმოხვეული 9 მაისი ამოვიღოთ დღესასწაულების ნუსხიდანო, რაზედაც დავით ზურაბიშვილმა, იმის მაგივრად რომ ეთქვა, რას მიჰქარავ, რომელმა ევროპამ იზარალა ყველაზე მეტად, რომელიც მართალია ოკუპირებული კი იყო ფაშისტების მიერ, მაგრამ სად ბენილუქსის ქვეყნების, გნებავთ საფრანგეთის ოკუპაცია, სადაც უბრალოდ, ნგრევა-ნგრევისთვის, თითქმის არაფერი დაუნგრევიათ და სად სსრკ-ის ოკუპაცია, სადაც მიზეზითა თუ უმიზეზოდ, ცეცხლითა და მახვილით მიწასთან გაასწორეს, რაც კი მოიხელთეს და მოასწრეს. იმაზე აღარაფერს ვიტყვი, რომ სსრკ-მა, უკანასკნელი დაზუსტებული მონაცემებით, 27 მილიონი ადამიანი დაკარგა, რაც ერთად აღებული, მთელი ევროპა-ამერიკის მსხვერპლზე მეტია!!!

ამის მაგივრად, დავით ზურაბიშვილმა, ახლა არ არის ამის დრო, პატივი უნდა ვცეთ ჯერ კიდევ ცოცხალ ომის ვეტერანებს, ამაზე შეიძლება 20-25 წლის შემდეგ დავიწყოთ (ანუ, მაშინ, როცა პირწმინდად ამოწყდებიან ომის მონაწილენი, არა, დავით-ბატონო? – ავტ.) მსჯელობა და მერე შევცვალოთ 9 მაისი რვიანით (ვაჰ, კიდევ ეს ყბადაღებული „რვიანი“ გამომივიდა უნებურად, ფუჰ! - ავტ.).

არ არის ეს ამბავი, რბილად რომ ვთქვათ, ზემოთ ნახსენები „ლაითობის“ დასტური?..

ჰოდა, რომ იტყვიან, არც „აცხელა და არც აცივაო“, უმალ ისარგებლა ოპონენტის „იალღიშით“ ლევან ჩოლოყაშვილმა და – შენ რა გინდაო? იმ ომის ვეტერანების აბსოლუტური უმრავლესობა დღესაც სტალინის კულტის თაყვანისმცემელია და მაგ ლოგიკით გამოდის, რომ სანამ ის ბებრები ცოცხლები არიან (ასე სიტყვასიტყვით არა, მაგრამ, ნაღდად ეს იგულისხა „თავადმა“ – ავტ.), ჩვენც უნდა პატივი ვცეთ პირსისხლიან სტალინსო? - რომ იტყვიან, „კუთხეში მიაყენაო“, სახეზე ზეიმის ალმურმა გადაჰკრა „კნიაზ ლევანას“.

თუმცა კუთხეში მიყენებას თუ არა, ეტყობა იმას ნაღდად დარდობდა რესპუბლიკელი, ემანდ სტალინისტობა არ დამბრალდესო (პარტიული დისციპლინაც იქით იყოს, ბოლოს და ბოლოს რესპუბლიკელებიც იმ „კარმუშკიდან“ ფინანსდებიან, საიდანაც ლევან ჩოლოყაშვილები, ანუ დასავლეთისგან და აშკარად ანერვიულდა ზურაბიშვილი. არადა მარტივად შეეძლო ეთქვა, დიახაც, ისიც და ყველა ნორმალური ადამიანი დედამიწაზე აღიარებს სტალინის მთავარ, გადამწყვეტ როლს ფაშიზმის დამარცხებაში. რომ გენერალისიმუსმა, ჰიტლერის განადგურებით კაცობრიობა იხსნა ყავისფერი ჭირისგან. და რომ სტალინი, თუნდაც მხოლოდ ამიტომ შევიდა ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი უპირველესი გენიოსთაგანი და ა.შ. სხვა მრავალი, რასაც თვით უკიდურესი ანტისტალინისტიც (გონიერ ხალხზე მაქვს საუბარი – ავტ.) კი არ უარყოფს.

ამის მაგივრად დავით ზურაბიშვილმა, რაღაც გაუგებარის ბლუკუნი დაიწყო (კიდევ ერთი დასტური მისი „ლაითობისა“), რითიც ინიციატივა კვლავ ნათავადარ ხლისტს ჩაუგდო ხელში და იმანაც გარეკა, მაგრამ, რა გარეკა...

ის ომი, სსრკ-ის, სტალინის მიერ საქართველოსთვის, როგორც იმპერიის ნაწილისთვის თავსმოხვეული ომი იყო და ამიტომაც არ იყო ჩვენთვის სამამულო, როგორც აქამდე გვასწავლიდნენო...

აქ და შემდეგაც აღარ შევაწყენ მკითხველს ზურაბიშვილის „ლაითი“ ოპონირების მოხმობით და მკითხველისავე ნებართვით თავად გავცემ პასუხს ამ არისტოკრატული წარმოშობის გვარიშვილს.

300 ათასი საქართველოს მოქალაქე ჩაწვა მოსკოვიდან ვიდრე ბერლინამდე მიწაში, რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა ქართველი იყო. საუკეთესო გენოფონდი გაწყდა ქართველობისა იმ ომში და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცამ რაღაც თავს მოგვახვია?

დიახაც ის ომი საქართველოსთვის (ისევე, როგორც სსრკ-ში შემავალი სხვა ერებისთვისაც) დიდი სამამულო ომი იყო! და იქნებ ამიტომაც (და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინ, როდესაც 8 მაისს, ბერლინში, კაპიტულაციის აქტს მოეწერა ხელი, მოსკოვში 9 მაისი იყო) დაადგინა სტალინმა ევროპისგან განსხვავებული თარიღი გამარჯვების დღედ, რომ ამერიკა-ევროპისგან მართლაც ბევრად განსხვავებულად ვიზარალეთ.

იხ. 9 გვ.

◉ ინფორმაცია

## თეთრი გვირილის დღე

11 და 12 მაისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში იმართება წინააღმდეგობის მოძრაობის ორდღიანი თავყრილობა და საქველმოქმედო მარათონი, პატიმართა ოჯახების დასახმარებლად. აქციის მიმდინარეობის პროცესში აღდგა ექიმ გრიგოლ ორბელიანის მიერ მე-20 საუკუნის დასაწყისში დაარსებული „თეთრი გვირილის“ დღე.

ამ დღეს თეთრი გვირილების გაყიდვით შემოსული თანხა ჭლექით დაავადებულ ადამიანებს ხმარდებოდა.

21-ე საუკუნის საქართველოში, ეს ავადმყოფობა ისევ მძვინვარებს. საპყრობილეებში უამრავი პატიმარი ტუბერკულოზით იღუპება. ამ აქციით წინააღმდეგობის მოძრაობა ეხმარება წამებითა და არაადამიანური მოპყრობით დაღუპული პატიმრების ოჯახებს, რათა მცირე ნუგეში მაინც მისცეს გარდაცვლილი პატიმრების ობლად დარჩენილ შვილებს და უმწეო მშობლებს, ხოლო ჭლექით დაავადებულ პატიმრებს მიაწვდის აუცილებელ წამლებს.

საქველმოქმედო მარათონში უამრავი ადამიანი, სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენელი თუ საზოგადოებისათვის პატივსაცემი პიროვნება იღებს მონაწილეობას.

## სამართალდამცველებმა აფთიაქის დირექტორი დააკავეს

დიდი ოდენობით თანხების მითვისების ფაქტზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ დაკავებულია შპს „ავერსი გეოფარმის“ კუთვნილი № 88-ე აფთიაქის დირექტორი თამარ გურაშვილი.

როგორც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური იუწყება, გამოძიებით დადგინდა, რომ თამარ გურაშვილი ბოროტად იყენებდა „ავერსი გეოფარმის“ სააფთიაქო ქსელში დამკვიდრებული ელექტრონული შეკვეთების პრაქტიკას და 2010 წლის ივნისიდან 2011 წლის აპრილის ჩათვლით ყოველთვიურად ყალბად აფორმებდა ძვირადღირებული მედიკამენტების გატანას ფარმაცევტული ქსელის სხვა აფთიაქებზე. რეალურად კი, აღნიშნული მედიკამენტების რეალიზაციას „ავერსის“ ქსელის მიღმა, პირადი კონტაქტების საშუალებით ახდენდა. საბუღალტრო შემოწმების დროს კი, ელექტრონულ შეკვეთებს აუქმებდა.

გურაშვილის მიერ განხორციელებული მაქინაციის შედეგად შპს „ ავერსი გეოფარმამ“ 240 000 ლარის ოდენობის ზარალი მიიღო.

ХО-ЕИБ-ЕНО

◉ წერილი სიმფეროპოლიდან

# ღმერთო, შეგვინდე ცოდვები!

რატომ გადაირიეთ, ქართველებო, ჩვენი „საგსაქ“ მინისტრის მეტად „ჭკვიანურ“ წინადადებაზე, – ფაშიზმზე გამარჯვება 9 მაისის ნაცვლად 8 მაისს ვიზეიმოთო, რადგან, აშშ ასე ზეიმობსო, რომ თქვა? რა, თქვენზე სულელი გგონიათ ჩვენი პრეზიდენტი, იმანაც სიხარულით რომ დაუჭირა მხარი ამ ბრძნულ წინადადებას? ამით ხომ ორი თუ სამი კურდღლის დაჭერა შეიძლება? პირველი ის, რომ ზურგს შევაქცევდით „საბჭოთა გადმონაშთს“! მეორე, – მსოფლიოში პირველად ჩვენ ვიზამდით ამას! მესამე, – ის, რომ იმავე მსოფლიოს თვალში ნაცარს შევაყრიდით და დავუმტკიცებდით ჩვენს „გამჭრიახ-გონიერებას“? აბა!

ჰოდა, რას ყიყინებთ თუ ძმები ხართ“ (ან-თუ დები ხართ!)? გაჩუმდით, მაინც! მართალია, ცოტა „უზუსტობა“ გამოდის, ცოტა დაუფიქრებლობაც, ცოტა პოპულიზმიც, ცოტა უვიცობაც და ყეყეჩობაც, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? გვარს არ დავასახელებ და, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარისა არ იყოს, „საგსაქ“ მინისტრმა ის მაინც ხომ გააკეთა, თავი რომ მოაწონა ზემდგომს? მოაწონა! მერე რა რომ ოდნავი უზუსტობა დაუშვა წარსულის გადმონაშთით თვალ და გონებადაბინდულმა ამხანაგმა! რა მოხდა მერე? ამერიკაში 8-ში აღნიშნავენ ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაულს, იმიტომ რომ იქ 8 რიცხვი იყო იმ დღეს! მაგრამ ჩვენთან 9 მაისი იყო მაშინ? აბა? ისე პატივცემულ ამერიკელებს ერჩივნათ „არ აერიათ“ ფაქტები! თორემ, ხომ ხედავთ როგორ დაიბნა ჩვენი „ბრძენკაცი“! ჩვენ ხომ გეოგრაფიულად კავკასიაში ვცხოვრობთ დღეს? არადა, თურმე, ოკეანის გაღმა ვართ (ყოველ შემთხვევაში, ეტყობა, ძალიან გვინდა, ასე იყოს!) და 9 რიცხვი 8 რიცხვია, დამიჯერეთ!

ამიტომაც უღრმესი მადლობა ჩვენს ძვირფას „ზემდგომს“, რომ ეს ამბავი „გაუიასნა“ ამ ბრძნული აზრის ავტორს, ბატონ „საგსაქ“ მინისტრს! ის ხომ ამერიკის დროით ცხოვრობს საქართველოში! იმასაც კი ამბობენ, არც „რუსეთის დროაო“ მისთვის შორი, მაგრამ ამაზე დარწმუნებით მე ვერაფერს გეტყვით! რა იცი. იქნებ ასეც არის!

...მე ახლა, ბედმა გამიღიმა და, მომეცა საშუალება, კიდევ ერთხელ ვმდგარიყავი ადამიანთა ძვლებით მოფენილ „საპუნგორის“ მაღლობზე! სწორედ აქედან მინდა მივულოცო დღესასწაული იმათ, ვისაც 9 მაისი მიაჩნიათ ფაშიზმზე დიადი გამარჯვების დღედ, იმ ბრძოლებგამოვლილ გმირებს, რომლებიც, სამწუხაროდ, თითოოროლა შემოგვრჩნენ და სიამაყით იგონებენ იმ სწორუპოვარ შემართებას!

ქვემოთ გადაშლილა „ზალატაია ბალკას“ ქართველთაგან მივიწყებული ქართველ ძმათა სასაფლაო და ღმერთს ვეაჯები: – უფალო, შეგვინდე ცოდვები მათს შვილებს და განანათლე თავდადებულთა სულები!

ზაალ ფილფანი,
თბილისი-სიმფეროპოლი-თბილისი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ქართველთა ჯოჯოხეთი ამერიკაში

# ასოცდამეექვსე

შარშან აღდგომის შემდეგ მოიკლა თავი. განა მის ჩამოთვლებას ელოდებოდა. უბრალოდ, გაწარი აიღო, რაღაც კაუჭზე ჩამოკიდა და საკუთარი თავიც ჩამოკიდა. ბებიას „ბეისმენტში“ იპოვეს. სამი დღე ეკიდა. სახლს მიჯაჭვულ, ალცჰეიმერით დაავადებულ 98 წლის მოხუცს ორი წელი უვლიდა. არავინ გახსენებია. არც თავისიანებმა, არც სხვისიანებმა, არც მეგობრებმა, არც ეს მოხუცი, არც ხატებით „გაწყობილი“ პატარა კუთხე „თავის“ ოთახში, არც ღმერთი, არც სამოთხე და არც ჯოჯოხეთი, არც ამერიკა და არც საქართველო, არც შვილი და არც ქმარი. რომ არა მისი მეგობრების მიერ ატეხილი განგაში, ვინ იცის რამდენ ხანს „იქანავებდა“ იმ რკინის კაუჭზე. მოხუცს გონი არ ეკითხებოდა. მისი შვილი, რომელიც სხვა შტატში ცხოვრობდა, მხოლოდ შაბათ-კვირას რეკავდა. ხანდახან არც რეკავდა. პასუხის გამცემიც ეს იყო. ეს იყო ამ ბებრის განაკითხავიცა და პატრონიც. უბრალოდ, ძალიან ყურადღებიანი იყო. ყოველთვის უკან აბრუნებდა სატელეფონო ზარს. როცა მეგობრებმა გაარკვიეს, რომ მას მესამე დღეა არავისთვის დაურეკავს, გაბედეს და პოლიციას გამოუძახეს. პოლიციამ კარი შეანგრია. დახვდა ორი ადამიანის სხეული და ჩართული ტელევიზორი. ერთი ცოცხალი, [illegible] ხმამაღლა მღერავი და ციფრების გაუთავებლად მთვლელი 34, 35, 36, 37, 38, 39... და მეორე – სამუდამოდ დადუმებული, მკვდარი, 46 წლის მანანას გალურჯებული სხეული. ტელევიზორი გამორთეს. ერთი კვირის თავზე მანანა გადაასვენეს. არ გაუსვენებიათ. სამშობლოში დაბრუნდა. იქ დაასვენეს. დის სახლში. ამერიკელმა მეგობრებმა შეუგროვეს „მგზავრობის ფული“. 5 ათასი დოლარი. მანანა ორ კვირაში ისედაც ბრუნდებოდა ცოცხალი.

„ბეისმენტამდე“ ცუდი ამბავი მოხდა. ძალიან ცუდი. არა, არავინ მომკვდარა. სერიოზულად ავადაც არავინ გამხდარა. უბრალოდ 12 წლის შემდეგ მანანამ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. დაიღალა ძალიან. დროა დავბრუნდეო. ვიდრე ჯანმრთელობამ, ნერვებმა მიმტყუნესო. ბიჭებს საკუთარი ხომ არ უნდა დავაკლდეო? ქმარსაც იქნებ ცოცხალს ჩავუსწროო. დროა გამოტკბილდესო. მწარე ხომ ვჭამე. საკმარისად. საკმარისზე მეტადაც. ტკბილის დრო დადგაო. დამიდგაო. სამაგიეროდ საჩუქრები მოაგროვა. ვალები გაისტუმრა, ორივე ბიჭს ასწავლა, ორივეს ეზოიანი სახლი უყიდა, გაარემონტა, გააწყო, ქმარსა და მისიანებს თუ თავისიანებს უმკურნალა, ყველა დაასვენა, დასაქორწინებელი დააქორწინა, გასასვენებელი გაასვენა, ნათესავ-მეგობრებს აჭამა და ასვა, სწავლის ფული გადაუხადა, რამდენიმეს სიცოცხლეც გადაურჩინა, მეგობრების შვილები ამერიკიდან მონათლა; ვინც ამერიკაში ჩამოვიდა, გულიანად უმასპინძლა, დაასაჩუქრა. წელიწადში რამდენჯერმე სამშობლოში პატარ-პატარა და ხანდახან დიდ საჩუქრებს აგზავნიდა. იქიდან კი წამალს თუ გამოუგზავნიდნენ ან ბზის პატარა ტოტს. რამდენჯერმე ჩურჩხელა და ტყემლის ტყლაპი გამოუგზავნეს. უყვარდა. ტყემალი კი აქაც იყიდებაო, ისეთი არაა, როგორც ჩვენებურიო, მაგრამ საწებლიან ბოთლებს, აბა, ვის ავკიდებო? ერთის გამოგზავნას კი რა აზრი აქვსო? ერთმა მეგობარმა კი შვილი საერთოდ მანანას იმედად გააჩინა. ეს ამერიკიდან აგულიანებდა. ნუ გეშინია, სანამ აქა ვარ, გააჩინე. ცოდო ხარო. პირად ცხოვრებაში არ გაგიმართლა, ბავშვი მაინც დაგრჩებაო. ის რომ, მანანა მაისში სამშობლოში ბრუნდებოდა, დედამიწაზე მხოლოდ სამმა სულიერმა იცოდა. ერთმა თბილისში მისმა უახლოესმა მეგობარმა და მეზობელმა და აქაურმა ორმა. მანანასავით გადახვეწილმა. სამივენი ერთი სკოლიდან იყვნენ. ყველა დანარჩენს, დიდ სიურპრიზს უმზადებდა. ჩემებს თავს მოულოდნელად დავესხმებიო. წარმომიდგენია, რა სახე ექნებათო. როცა დამინახავენ, რას შესძახებენო. წინასწარ ბედნიერებისგან გული მიჩქარდებაო. ნეტავი ინფარქტი არ დამემართოსო. ერთი ხომ უკვე გადავიტანეო. აქ, მიკროინფარქტი. ოთხი წლის წინათ დედა რომ გარდაეცვალა, სკაიპით დაიტირა. მერე უცებ ცუდად გახდა. ფეხზე ვერ წამოდგა. მეგობრები რომ არა, საავადმყოფოში არც წავიდოდა. ძვირია და იმიტომო. ჩემებს მოაკლდებათო. ძვირი კი დაუჯდა, მაგრამ დიაგნოზი მაინც გაიგო. მერე თბილისიდან გამოგზავნილი წამლებით იმკურნალა. ფეხზე დადგა. ანტიდეპრესანტებს კიდევ ათასი რამ დაამატა. სკაიპში გატარებულ ცხოვრებას ხან წყევლიდა, ხან ლოცავდა. ვიღაც ახალგაზრდა აქაურ არალეგალ ქართველ ქალზე ყვებოდა. სკაიპში, მასთან მოსაუბრე მეგობრის თვალწინ რომ დალია სული... შარშან კი გაზაფხულის დადგომისთანავე დაბრუნება გადაწყვიტა. კმარაო. მაგრამ როგორც კი იმ თბილისელ მეგობარს უთხრა, მოვდივარო, იმან უცებ ხვეწნა-მუდარა დაუწყო, ჯერ რა გეჩქარება, შე ქალოო? იქნებ კიდევ იყო მანდო. მანანას უკვირდა, ადრე მეხვეწებოდი, ჩამოდი, ჩამოდიო, თუ ღმერთი გწამსო და ახლა რაღა დაგემართაო? ის კი ეუბნებოდა, შენ არ იცი, რა გაჭირვებაა აქ, რა უბედურება, მანანა, ჯერ არ წამოხვიდე, სადაც 12 წელი გაძელი, ორი წელი კიდევ მიაყოლეო. ეს ორი წელი უცებ გაირბენსო. მესამეს თუ მიამატებ, არც არაფერი დაშავდებაო. მანანას ეგონა, რომ ბავშვობის მეგობარი ეხუმრებოდა. აღდგომა ჩათავდა თუ არა, იმ მეგობარს თბილისში მაშინვე დაურეკა და უთხრა, ბილეთი უკვე შევუკვეთე, ამა და ამ დღეს მოვფრინავ, იცოდე ჩემებთან არაფერი წამოგცდესო. ჰოდა, იმ მეგობარმაც არ დააყოვნა და „სათქმელი“ უთხრა: ხომ გითხარი, არ წამოხვიდე-მეთქი, შენმა ბიჭებმა ითამაშეს, ორივე სახლი წააგეს, შენი ერთოთახიანიცო. კარდაკარ არ დადიან, შენ დებთან გადანაწილდნენო. არავინ გეუბნებოდაო. აბა, როგორი სათქმელიაო? სად მოდიხარ, მანანა, რომ მოდიხარო? არაფერი გხვდებაო. არაფერიო. შენ ძლიერი ხარ, იქნებ კიდევ დარჩე მანდ, იმუშავო და ერთოთახიანი მაინც იყიდოო. მანანას აღმოხდენია: რაო? იმასაც გაუმეორებია. წააგესო. სახლები წააგესო. შენი ნაყიდიო. ბიჭები არიან. კაცები უკვე. თავს ხომ არ გააფუჭებინებდნენო, არადა ემუქრებოდნენო. როგორია ეს კაცებისთვისო, აბა დაფიქრდიო... მანანამ მობილური გათიშა და „ბეისმენტში“ ჩავიდა...



13 წლის წინ გაყინულ თბილისში ცივ შობადღეს ამერიკისკენ აიღო გეზი. შიმშილი აუტანელი იყო, მაგრამ სიცივე – კიდევ უფრო. „კერასინკის“ ფული რომ არ ჰქონდათ, ცოლ-ქმარი ცოტ-ცოტა არაყს წრუპავდა. შვილებს მხოლოდ მაკარონს აჭმევდნენ და ძალიან თბილად აცმევდნენ. მაკარონიც ენატრებოდათ. ეს უკანასკნელი ბარაქიანიაო და იაფიცო, მაგრამ მაინც რა მალე ილევა, ეს უბედურიო. პურზე დაყრილი მარილი „საყვარელი“ კერძი იყო. ზედ წასმული ნიორიც. მანანა პროფესიით ბიოლოგიის მასწავლებელი იყო. ჰოდა, იცოდა, რომ ბუნების კანონებს ვერაფერი შეცვლიდა. სიცივეს ფულის გარდა სხვა ვერაფერი გატეხდა. ამიტომ მსოფლიოში ყველაზე ძლიერ სწორედ მანანას უხაროდა მაისისა და ზაფხულის დადგომა. მსოფლიოში ყველაზე ძლიერ სწორედ მანანას ეზიზღებოდა ნოემბერი და ზამთარი. მთელი ცხოვრება წვალობდა. მაშინაც, როცა „უნიფხვო“ კაცს გაჰყვა. აფრთხილებდნენ, გაგიჭირდებაო, ჯიბეცარიელი ვის რად უნდა, ხომ არ გაგიჟდიო? გახედე, ქალები სქელჯიბიანებს ეძებენო, შენ რაღამ დაგაბრმავაო? მაგრამ უყვარდა ძალიან. გული მიყვარს მისიო. ჯიბის სიყვარული არ გამიგიაო. სიყვარულით გათხოვდა. იცოდა, რომ ასე იქნებოდა, სხვაგვარად – ვერა და არ. მერე ძლივს შეაკოწიწეს ერთოთახიანის ფული. როცა შეაკოწიწეს, მერე საქმე ისევ შესაკოწიწებლად გაუხდათ. საქართველოში 1990-იანი წლები იდგა. მანანამ საკმარისია ამდენი მაკარონი და არაყიო. ჯერ თურქეთს მიაშურა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა; მერე იქ ნაშოვნი ორი კაპიკით თავის ორ ნათესავთან ერთად კერძო ბაღი გახსნა, თან უხაროდა, ასე თუ ისე, ჩემს პროფესიას არ დავივიწყებო, მაგრამ არარენტაბელობის გამო სამ თვეში თავი დაანება; მერე იტალიაში წასვლა გადაწყვიტა. ახლოა, ამერიკა კი შორსო. არ გამოუვიდა, მერე თავ-ბედის წყევლით ისევ მაკარონებს მიუბრუნდა: ოღონდ „მცირე ბიზნესს“ – „ყველიანი“, იგივე მარილმოყრილმაკარონიანი „ხაჭაპურების“ ცხობას მიჰყო ხელი, ვაგზალზე „პროდუქტს“ თავადვე ჰყიდდა „ფენოვანი, ფენოვანის!“ ხმის ჩახრინწვამდე ძახილით. ყველამ იცოდა, რაგვარი „ეროვნული კერძიც“ გახლდათ ეს, მაგრამ ავად თუ კარგად მაინც ეყიდებოდა. მანანა ხალხს ატყუებდა, ხალხი კი თავს იტყუებდა და საგზლო „ხაჭაპურს“ აგემოვნებდა. თავადაც ჭამდნენ ასეთს. დღესასწაულებზე. როგორი დროც იყო, ისეთიც – ხაჭაპური. თან პარალელურად ცელოფნებითა და „ტოფიტა“ კამფეტებით ვაჭრობდა. ერთი „ტოჩკა“ იცოდა. იქ ძალიან იაფად იყიდდა, დააჯდებოდა მეტროს და ხუთი გაჩერების შემდეგ 20 თეთრით ძვირად ჰყიდდა. მაგრამ ამ „ჩალიჩშიც“ დიდად ვერ იხეირა. მერე მეორადი ტანსაცმლის „ამბავს“ მიჰყო ხელი და იქაც ბიზნესის ზვიგენებს გადაეყარა. „ხადავოი ტავარიაო“, უთხრეს, მაგრამ – არა მანანასთვის. მერე კი ამერიკა „აღმოაჩინა“. უფრო სწორად ის ხალხი, ვინც ამერიკაზე ჩალიჩობდა. ჰო, მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი ქმარი ღრმა და ზოგჯერ არაღრმა დეპრესიაში იყო. სმა დაიწყო. მანანას ეცოდებოდა, ცრემლებს ჩუმად ყლაპავდა. თავის კაცს სახლიდან წადი, ყველანაირ სამუშაოს დასთანხმდი, გინდ იყაჩაღე, გინდ იქურდე, რაც გინდა ის ჰქენი, ოღონდ ფული მოიტანეო, ხომ არ დაავალებდა, ისტერიკას ხომ არ გაუმართავდა? ანდა რა აზრი ჰქონდა დავალებას? იცოდა მისი ხასიათი. ქმარს თუ არ უნდოდა, ადგილიდან ვერ დაძრავდი. კაცმა კი უცებ ამ გაჭირვებისა და სიბერის ჟამს ლექსებისა და მოთხრობების წერა დაიწყო, მერე აიჩემა საქართველო სულ ფეხით უნდა მოვიარო, ვიმოგზაუროო, მერე კი წიგნი დავწერო და გამოვცეო. დაიჟინა და დაიჟინა.

მანანას სწყინდა, სახლში საშაქრეს ობი მოედო, ბავშვებს სკოლაში სასიარულო ფეხსაცმელები არა აქვთ, მოხუც მშობლებს კი – წამლის ფული, ამ კაცს კი რა ლექსომანია– პილიგრიმომანია აუტყდაო. მაგრამ არაფერი უთქვამს. სიტყვებს აზრი არ ჰქონდა. არც კონფლიქტებს. თავისი დიპლომი უბრალოდ დასახევად ვერ გაიმეტა. იფიქრა ემანდ ცხელ გულზე არ შემომეფხრიწოსო და ისეთ ადგილზე შეინახა, რომ მერე, როცა დაჭირდა, თავადაც ვერ იპოვა. როცა ამერიკის „ჰორიზონტი“ გამოჩნდა, იმ მოსაზრებით ატეხა დიპლომის ძებნა, სმენოდა, ამერიკა ყველას აძლევ შანსს და იფიქრა, ეს ჩემი ფარატინა ფურცელი ვინ იცის, რაში გამომადგესო...

მანანას მაზლმა თავი მოიკლა, მტკვარში გადახტა. ვალები რომ ვერ გადაიხადა. ცოცხალი რომ ვარ, შვილებს ლუკმაპურს ვართმევო. მანანას ეშინოდა, ჩემმა ქმარმაც არაფერი მოუწიოს თავსო, ე მანდ, შვილები არ გადამირიოსო, ჰოდა, არ წუწუნებდა. ჩუმად დაწანწალებდა აღმა-დაღმა. უჩუმრად. უჩინრად. ჩუმად იტანდა ათას უბედურებასა და ბედის გამოცდას. ბევრი გამოცდა „წარმატებით“ ჩააბარა. ადამიანობაზე, გამძლეობაზე, ერთგულებაზე, სიყვარულზე, თავდადებაზე. ამერიკიდან სამშობლოში დაბრუნების გადაწყვეტილების მიღებამდე ქმარს მისი საოცნებო წიგნის გამოცემის ფულიც კი გაუგზავნა. სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს, გაიხარებსო. ბოლო გამოცდას კი ვერ გაუძლო. გამძლეობის იყო ის ბოლოც. და ყველა გამოცდაც გამძლეობაზეა. გარშემო არავინ იყო, რომ მანანა შეეჩერებინა. ნეტავი იმ წამს, იმ უცებ დაგდებულ ტელეფონზე ვინმეს დაერეკა. იქნებ ზარს გამოეფხიზლებინა. წამები წყვეტდა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარის დადგომას. იქნებ, იქნებ – ერთი ზარი. ზუსტად ერთი, სწორედ იმ წამს. და არა – მეათეს. აღაზასაც ვინმე გვერდით რომ ჰყოლოდა, იქნებ თავი არ მოეკლა. იქნებ. მანანას არავინ გახსენებია, როცა ნაბიჯი „ბეისმენტისკენ“ გადადგა. არავინ გახსენებია. არც თავისიანები და არც სხვისიანები... არავინ და არაფერი...

შარშანწინ მის მეუღლეს, რომელსაც ფილტვის კიბო აღმოაჩნდა, მანანა აცოცხლებდა. სულ ეჩხუბებოდა, სიგარეტს თავი დაანებეო. არ გაიგონა (არ ვიცი, წელს არის კი ცოცხალი? – ი.მ.ძ. მანანა ამერიკაში ვალით ჩამოვიდა. აბა, ჰარვარდის უნივერსიტეტიდან არავინ მიიწვევდა. გრანტს არავის შესთავაზებდა. ინგლისურის ერთი სიტყვაც არ იცოდა. ვინც აეროპორტში უნდა დახვედროდა, არ დახვდა. როგორც იქნა ნიუ-იორკის ავტობუსის სადგურამდე მიაღწია. ორი დღე სადგურში ცხოვრობდა. სადგურის ტუალეტში თავისი ორი უზარმაზარი ჩანთით მიგრიხინებდა. მერე სადგურის თანამშრომელს შეეცოდა და თავისი მობილურიდან დაარეკინა. ბოლო-ბოლო იმ „დამხვედრმა“ ყურმილი აიღო და თავისთან წაიყვანა. პასპორტი ჩამოართვა, მშიერ მანანას ოთხი დღის მასთან ცხოვრების ფული გამოართვა და იტალიელების ოჯახში, სადაც ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი იზრდებოდა და სადაც კვირაში, 200 დოლარს გადაუხდიდნენ, ძიძად გაუშვა. მანანა „სიხარულით“ დასთანხმდა ბავშვების გადიად, უზარმაზარი სახლის დამლაგებლად, მზარეულად და ათასი წვრილმანის მომგვარებლად მუშაობას. ამ ქართველმა „მასპინძელმა“, ინგლისური ენა ვინც არ იცის, იმას ასე უხდიანო. რა იცოდა მანანამ, რომ ამერიკაში ერთ საათში 7,15 დოლარზე ნაკლების გადახდა კრიმინალია. მონობაა. მანანას საათში დოლარზე ოდნავ მეტი გამოსდიოდა. თანაც ყოველგვარი „ოვერთაიმის“, დღესასწაულებისა და შაბათ-კვირის დასვენების გარდა. ამ ქალმა უთხრა, აბა, ინგლისური რომ იცოდე და მანქანას ატარებდე, 350 დოლარიანზე გაგიშვებდიო. მუშაობის პირველი სამი კვირის ფული მანანას ამ ქართველი ქალისთვის უნდა მიეცა. მანანამ ისიც კი არ იცოდა, როგორ დაერეკა ან სიმწრით ნაშოვნი ეს ფული, როგორ გაეგზავნა სახლში. ყველაფრის მიუხედავად ამ იტალიელების მადლობელი იყო. კვირაში ერთხელ სახლში არეკინებდნენ. მანანა ამ დარეკვის ფულსაც თავად იხდიდა. ამიტომ ცდილობდა ცოტა ელაპარაკა. ფულსაც იტალიელები თბილისში მანანას ოჯახს საბანკო გადარიცხვით უგზავნიდნენ. ოღონდაც სახლიდან არ გასულიყო. მანანა სიმწრის ცრემლებს ისევ ყლაპავდა, მაგრამ ახლა უფრო დიდსა და მწარეს, ვიდრე მაშინ, როცა „ხაჭაპურს“ აცხობდა. ღამეები ტიროდა, ტკივილისგან და სასოწარკვეთისგან. ნანობდა, ოჰ, როგორ ნანობდა რომ იქ, იმ ქართულ სიცივეში არ ამოხდა სული. მკვდარმა იკითხოს, თორემ ცოცხალს ყოველთვის ეშველებაო, გაიფიქრებდა იმწამს, მერე უცებ სიკვდილის ნატვრას უკუაგდებდა, გაახსენდებოდა, მე ვარ ეს მშველელიო, მე ვარ ჩემების იმედიო, მერე ისევ ყლუპ-ყლუპად ნაწრუპი არაყი ახსენდებოდა და თავის თავს ხმამაღალ „ჰეის“ შესძახებდა. რა იცოდა, რა სითბოში და კარგად კონდინცირებულ სახლში დალევდა გამწარებულ სულს. მაგრამ მაშინ თვალწინ მხოლოდ მისი შვილებისა და დისშვილების სახეები უდგებოდა. დილა თენდებოდა და მანანაც ფეხზე დგებოდა. ქართული ასოებით ინგლისური ენის „სასაუბრო“ დაიზეპირა, მერე კი საქართველოდან წამოღებულ ლექსიკონსაც ჩაუჯდა. ძალიან უჭირდა. ძალიან. მაგრამ ავად თუ კარგად ინგლისური თავად ისწავლა. წამოვიდა იმ ოჯახიდან და უფრო მაღალანაზღაურებადი სამსახურის ძებნა დაიწყო. მერე დიდი ასოებით საწოლთან „პლაკატი“ სიტყვებით „უნდა შეძლო!“ გაიკრა. ამ „პლაკატს“, სადაც კი სამუშაოს იშოვიდა, იქ წაიღებდა და თუ ცალკე ოთახს გამოუყოფდნენ, სასთუმალთან კედელზე გაიკრავდა. იყო ისეთი სამსახურებიც, სადაც ცალკე ოთახიც არ ჰქონდა და ავადმყოფის გვერდით ძირს დადებულ გასაბერ ლეიბზე ეძინა. გამოსასვლელ დღეს, თვეში ერთხელ ან ორჯერ, ადამიანების სახეებს ქუჩასა და მაღაზიებში რომ ხედავდა, უხაროდა. ავტობუსსა და მეტროში ადამიანებს ისე აკვირდებოდა, როგორც უცხოპლანეტელებს. ბავშვებისა და ახალგაზრდების დანახვა გულს უხარებდა და ტკენდა იმავდროულად. ერთხელ ისეთი სამსახური შეხვდა, რომ სანახევროდ მშიერი იყო. დაბანითაც „ჩუმად“ იბანდა, ღამე, როცა მოსავლელს ეძინა, რადგან ბებოს ბევრი წყლის ხარჯვა არ სიამოვნებდა. ღამის ტუალეტში ჩასაშვებ წყალსაც უწონიდა. ტელეფონზეც ტუალეტში საუბრობდა. მოხუცს უცხო ენა არ სიამოვნებდა. პატარა „ფართობზე“ ყველაფერი ისმოდა. სამაგიეროდ თავისიანებს დიდებს უყიდა. „უნდა შეძლოო!“ და შეძლო კიდეც. ყველაფერი, საკუთარი თავის გარდა. იტალიურიც კი ისწავლა. საქართველოდან გამოგზავნილი წამლებითაც კი მკურნალობდა ავადმყოფ ბებიებსა და ბაბუებს. ამათ შვილებსა და შვილიშვილებს რომ ხელი ჰქონდათ ჩაქნეული და „აბეზარი“, 99 წლის მოხუცის საიქიოში გამგზავრებას მოუთმენლად ელოდნენ, მანანა აცოცხლებდა. როგორც არაერთხელ უთქვამს, უკვე არა იმდენად ჰუმანური მოსაზრებების გამო, რამდენადაც იმის შიშით, რომ კვლავ უმუშევარი დარჩებოდა და მის ოჯახსა და ნათესავებს სარჩო მოაკლდებოდა. ამათი მოვლით იყო თავისიანებს რომ აცოცხლებდა. საქართველოს მე ვარჩენო, ხუმრობდა...

**ია მერკვილაძე,**
ნიუ-იორკი, აშშ

(დასასრული იქნება)

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◎ ვარაუდი

# სან-მარინო აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარებით დაინტერესდა

**კავკასიის საკითხებში ექსპერტ მამუკა არეშიძის აზრით, სან-მარინოს მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის ე.წ. დამოუკიდებლობის შესაძლო აღიარება საგანგაშო არ არის და ის ვითარებას არ შეცვლის.**

**„სან-მარინო ერთი მთაა. იქ დაახლოებით 30 ათასი კაცი ცხოვრობს და აღიაროს, არაფერს განსაკუთრებულს ამაში ვერ ვხედავ. „ფსევდო-სახელმწიფოების“ აღიარება ვითარებას არ შეცვლის. მთავარია ისეთმა ქვეყნებმა არ აღიარონ, რომლებიც ამინდს ქმნიან. თუმცა, ვფიქრობ სხვანაირი მიდგომის შემუშავება გვჭირდება დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, რადგან შესაძლოა დღეს არ არის არაფერი სან-მარინოსა და ნაურის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარება, მაგრამ 3 წელში პრეცედენტი გახდეს. ასე რომ, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ ამ მიმართულებით“,** – განუცხადა არეშიძემ „ჯი-ეიჩ-ენს“.

ექსპერტის აზრით, აღნიშნულის მიუხედავად, საჭიროა იმ მიზეზების დადგენა, რის გამოც სან-მარინო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების აღიარებით დაინტერესდა.

**„საჭიროა დიპლომატიური აქტიურობა. უნდა გავიგოთ გამომწვევი მიზეზები. თუ მართლა რუსული ინვესტიციაა სან-მარინოს დაინტერესების მიზეზი, ეს საზოგადოებამ უნდა გაიგოს“,** – განმარტა ექსპერტმა.

◎ ვინ როგორ ფიქრობს

# ედუარდ შევარდნაძე: იმ ადამიანთაგან, რომლებსაც ყარაბაღისა და აფხაზეთის პრობლემების მოგვარება შეეძლოთ, ცოცხალი მხოლოდ ერთია!

**იმ ადამიანთაგან, რომლებსაც ყარაბაღისა და აფხაზეთის პრობლემების მოგვარება შეეძლოთ, ცოცხალი მხოლოდ ერთია. ამიერკავკასიაში იყო სამი სერიოზული ხელმძღვანელი, რომლებსაც ქვეყანაში სიტუაციის კონტროლი შეეძლოთ, – ჰეიდარ ალიევი, კარენ დემირჭიანი და ედუარდ შევარდნაძე. ეს განცხადება საქართველოს ექს-პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ „ვესტი. აზ“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.**

**„აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა ჰეიდარ ალიევის დამსახურებაა. მას სახელმწიფოს მმართველობის უზარმაზარი გამოცდილება ჰქონდა. ეს ერთი. მას ჰქონდა მოსკოვის დიდი მხარდაჭერაც, მას მხარს პოლიტბიუროს რამდენიმე წევრი უჭერდა. აზერბაიჯანს, საქართველოსგან განსხვავებით, უფრო უჭირდა, დამოუკიდებლად დარჩენილიყო. ამას ყარაბაღის პრობლემაც დაემატა. სამივე მჭიდრო თანამშრომლობაში ვიმყოფებოდით ერთმანეთთან. ჩვენ რომ სახელმწიფოთა მეთაურები ვიყოთ, არავითარი უთანხმოება არ იქნებოდა. დემირჭიანი ტერორისტებმა პარლამენტში მოკლეს და ეს ძალიან დასანანია. ის რომ ცოცხალი იყოს და ჰეიდარ ალიევიც ჩვენთან იყოს, ყარაბაღისა და აფხაზეთის საკითხები უკვე დიდი ხანია გადაიჭრებოდა“,** – აცხადებს შევარდნაძე.

◎ შეხვედრა

# შეისმენს ევროკავშირი ადვოკატთა ასოციაციის მოთხოვნას?

**ხელისუფლება რომ ადვოკატთა კორპუსს მიზანმიმართულად დევნის, გასაკვირი არ არის. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ზაზა ხატიაშვილის განცხადებით, ბოლო შვიდი წლის განმავლობაში 111 ადვოკატია დაკავებული. 2010 წლის 21 დეკემბერს ევროპის ადვოკატთა და სამართლებრივი საზოგადოების საბჭოს პრეზიდენტმა ხოსემარია დავო-ფერნანდესმა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სახელზე წერილი გაგზავნა.**

იგი გამოეხმაურა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ მრავალჯერ გამოთქმულ შეშფოთებას საქართველოში ადვოკატების, დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ფენის მმართველი რეჟიმის მხრიდან ზღვარგადასული დევნის თაობაზე.

პარლამენტშიც ახლახან გამართულ ადვოკატთა ასოციაციისა და „ქრისტიან-დემოკრატების“ შეხვედრაზეც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტმა ზაზა ხატიაშვილმა განაცხადა, რომ რასაც სააკაშვილის რეჟიმი დამოუკიდებელი ადვოკატების წინააღმდეგ აკეთებს, არ შეიძლება საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ურეაგიროდ დარჩეს. მან საქართველოში ადვოკატების უპრეცედენტო ჩაგვრაზე გაამახვილა ყურადღება.

ზაზა ხატიაშვილს ასეთ ვითარებაში საერთაშორისო საზოგადოების დახმარების იმედი აქვს: **„ჩვენ მივმართეთ ევროკავშირს, რომ პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადონ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი, იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა მინისტრი ხათუნა კალმახელიძე“,** – აღნიშნა მან.

ადვოკატთა ასოციაცია ევროკავშირისგან ითხოვს, ხსენებულ პირებს ორგანიზაციაში შემავალ ქვეყნებში შესვლა ბელორუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს მსგავსად აეკრძალოთ.

ხატიაშვილისვე თქმით, ამ გადაწყვეტილებას ადვოკატთა ასოციაციის წევრების დიდმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი მხოლოდ ორი ადვოკატი აღმოჩნდა, 20-მა თავი შეიკავა.

ადვოკატთა ასოციაცია საპატიმროებში არსებული ვითარების გამო დამოუკიდებელი კომისიების შექმნასაც ითხოვს. ამ ინიციატივაზე პარლამენტში ადვოკატმა ქეთი ბექაურმა იმსჯელა. მისი თქმით, საპატიმროებში პატიმართა მიმართ ძალადობის ფაქტებზე საქმე, მხოლოდ უფლებამოსილების გადამეტების მუხლით აღიძვრება და უმეტესწილად, ან არავინ ისჯება, ან საქმე ჩერდება.

ადვოკატებს წარმოუდგენლად მიაჩნიათ, საქმეს იძიებდეს უწყება, რომელიც შედეგითაა დაინტერესებული, რადგან საკითხი საკუთარ თანამშრომლებს ეხება.

ბექაურმა დასძინა ისიც, რომ კანონმდებლობაში წამების, ძალადობის, პატივისა და ღირსების შელახვის გამო არსებული ნორმების მიუხედავად, პატიმრების მიმართ ძალადობის ფაქტებზე საქმეები მხოლოდ უფლებამოსილების გადამეტების მუხლით აღიძვრება ხოლმე.

**ნატა ნიბლაძე**

# დაპირისპირება, რომელიც საქართველოში ისლამის ორ განშტოებას - შიიტებსა და სუნიტებს შორის არსებობდა, აღმოიფხვრა

**დაპირისპირება, რომელიც საქართველოში ისლამის ორ განშტოებას – შიიტებსა და სუნიტებს შორის არსებობდა, დღეს კონფერენციაზე „საქართველოს მუსლიმთა როლი ერთიანი საქართველოს ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში“ აღმოიფხვრა.**

როგორც „პირველს“ კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და მონაწილემ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ მახარაძემ განუცხადა, დაპირისპირება სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს თავმჯდომარის არჩევის საკითხთან დაკავშირებით არსებობდა.

**„კერძოდ, ქართველი სუნიტი მუსლიმები რელიგიურ ცენტრში სუნიტ თავმჯდომარეს მოითხოვდნენ, აზერბაიჯანელი შიიტი მუსლიმები კი - შიიტს. ერაყში და ბევრ სხვა ქვეყანაში, სადაც ერთი და იგივე ეთნოსის ხალხია, შიიტებსა და სუნიტებს შორის სერიოზული დაპირისპირებები არსებობს. ჩვენთან ეს პრობლემა შედარებით ნაკლებადაა, თუმცა თავისთავად თემა მაინც ძალიან ფაქიზია. ამ მხრივ გარკვეული უთანხმოება არსებობდა, თუმცა ის, საბედნიეროდ, უკვე დასრულდა“,** – განაცხადა მახარაძემ.

როგორც „პირველს“ ერთ-ერთმა მომხსენებელმა, სახელმწიფო მინისტრის პირველმა მოადგილემ დიასპორის საკითხებში ირაკლი ნადირაძემ განმარტა, სიტუაცია მას შემდეგ განიმუხტა, რაც გადაწყდა, რომ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს დებულებაში ორი თანათავმჯდომარე იარსებებს და შესაბამისად, შიიტებსაც და სუნიტებსაც, საკუთარი განშტოების შესაბამისად, თავმჯდომარეები ეყოლებათ.

კონფერენციის დასაწყისში ჯემალ პაქსაძემ, რომელიც ჟურნალისტების და დარბაზის წინაშე სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს თავმჯდომარის სტატუსით წარსდგა, განაცხადა, რომ მუფტის არჩევნები უახლოეს მომავალში გაიმართა.

**პირველი**

# დედამიწის ზურგზე

**ობამამ დიაწყო საიდუმლოდ მოკლული ბინ ლადენის ფოტოს გავრცელება**



**ამერიკის ადმინისტრაცია ძველებურად არ აპირებს ალ-ქაიდას მოკლული ლიდერის ფოტოგრაფიების გამოქვეყნებას, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გამოთქვა მზადყოფნა, წარუდგინოს სურათები სენატორებს. სენატის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ჯო ლიბერმანი იყო მათ შორის, ვინც თანხმობით უპასუხა წინადადებაზე.**

* * *



**ბინ ლადენზე დევნაში ამერიკამ, შესაძლოა, გაუშვა მის შემდეგ ყველაზე საშიში ადამიანი – „ტერორისტ პრინცის მემკვიდრე“**

**როგორც ვარაუდობენ, ბინ ლადენის ერთ-ერთი ვაჟიშვილი ამერიკის რეიდის დროს გადარჩა და დაიმალა. თუ ეს ასეა, დასავლეთი ფრთხილად უნდა იყოს, ვინაიდან იგი მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე მთავარ მტრად, მიაჩნია პრესას. ჯერ კიდევ ბავშვობის დროს მონაწილეობდა ბრძოლებში და წერდა ლექსებს თავისი მამის გმირობისა და ამერიკისა და ევროპის შურისძიების შესახებ.**

* * *

**„ვიკილიკსის“ შემქმნელს მშვიდობის პრემია გადასცეს**



**სიდნეის მშვიდობის ფონდმა ჯულიან ასანჟის მიანიჭა ოქროს მედალი „განსაკუთრებული მამაცობისთვის ადამიანთა უფლებების დაცვაში“ და გადასცა მას იგი ლონდონში გამართულ საზეიმო ცერემონიაზე. პრემიის 14 წლის არსებობის მანძილზე იგი მხოლოდ 4-ჯერ მიენიჭა პიროვნებას, რომელიც ავსტრალიის ფარგლებს გარეთაა.**

* * *

**ლიბიის სინდრომი: აშშ-მა მიუთითა, რომ შემდგომი დიქტატორი კადაფის ბედს გაიზიარებს**

**ამერიკა მოუწოდებს სირიის ხელისუფლებას, შეწყვიტოს პროტესტის მონაწილეთა მკვლელობა, არ შეუშალოს ხელი მშვიდობიან დემონსტრაციებს, შეწყვიტოს დაპატიმრებანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის, აღიაროს ბაშარ ასადის მმართველობა არალეგიტიმურად. ამავე დროს ამერიკელები მოუწოდებენ: ლიბიის სცენარის გამეორება სირიაში „შეიცავს პრობლემებს“.**

* * *



**მსოფლიოს საუკეთესო ქალაქების რეიტინგი: მოსკოვმა ზევით აიწია**

**პირველ ხუთეულში არიან : ნიუიორკი, ლონდონი, პარიზი, ტოკიო და ბრიუსელი. შარშან მოსკოვს 22-ე ადგილი ეკავა, ახლა კი ერთი ხაზით ზევით აიწია. რუსეთის დედაქალაქის რეიტინგი აგრძელებს ზრდას და 2020 წელს მოსკოვი შეიძლება გახდეს მე-10 მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ქალაქებს შორის.**

* * *

**რომის ათასობით მცხოვრებმა მიწისძვრის შესახებ წინასწარმეტყველების შიშით დატოვა ქალაქი**



**ხელისუფლება მათ ამშვიდებს: ჯერ ერთი, მიწისძვრის წინასწარმეტყველება შეუძლებელია. მეორეც, სეისმოლოგ რაფაელ ბენდანდის დოკუმენტებში – იგი ჯერ კიდევ 1979 წელს გარდაიცვალა – სინამდვილეში არაფერია ნათქვამი 11 მაისის მიწისძვრის შესახებ. მაგრამ რომაელები ხელისუფლებას არ ენდობიან, პანიკა გავრცელდა კომუნიკაციების თანამედროვე საშუალებების მეშვეობით.**

* * *



**იაპონიის საიმპერატორო წყვილი ვიზიტით ჩავიდა „ფუკუსიმას“ პრეფექტურაში**

**იმპერატორი აკიხიტო და დედოფალი მიტიკო აპირებენ, დაათვალიერონ დამანგრეველი მიწისძვრით დაზარალებული ტერიტორიები. ფუკუსიმას პრეფექტურაში 1,5 ათასზე მეტი კაცი დაიღუპა.**

* * *

**დაუცხრომელმა ავიატორმა როსიმ გადაუფრინა აშშ-ში დიდ კანიონს**



**საკუთარი კონსტრუქციის რეაქტიულ მონოპლანზე 51 წლის შვეიცარიელმა გაძლო ჰაერში 8 წუთზე მეტი და განავითარა სიჩქარე 305 კილომეტრი საათში. მას შემდეგ, რაც საფრენ აპარატში დამთავრდა საწვავი, როსიმ გამოუშვა პარაშუტი და მსუბუქად დაეშვა კანიონის ფსკერზე.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

№ 88. ხუთშაბათი, 12 მაისი, 2011 წელი.

გაბრაზებულ გულზე

# ვამბობ სტალინს და მეამაყება ჩემი ქართველობა!

(მეექვსე გვერდიდან)

იქნება მე, თქვენს მონამორჩილს, სხვაზე არანაკლები მიზეზი მქონდეს სტალინის მიმართ ბიოლოგიური სიძულვილისა? რაც იყო კიდეც ჩემს ცხოვრებაში, ჯეელობისას, როცა, ვიმეორებ, არა ერთი და ორი „სუფრა მაქვს ატრიალებული“ სტალინის სადღეგრძელოს გამო – ბაბუაჩემი, 33 წლის ასაკში დახვრიტეს 37-ში, როცა მამაჩემი 3 წლისა იყო...

რაც შეეხება იმას, იყო თუ არა ის ომი ჩვენთვის სამამულო, ერთ სევდიან, ამავე დროს საგულისხმო ამბავს გავიხსენებ, მამაჩემისგან გაგონილს:

უფროს თაობას, ვისაც ჩვენს დედა-უნივერსიტეტთან რაიმე შეხება ჰქონია, უთუოდ ემახსოვრება ძია მოსე – (დიდი თუ პატარა ასე ეძახდა უნივერსიტეტის უბრალო კარისკაცს, რომელიც ყველას უყვარდა და პატივს სცემდაძ. სწორედ ეს ძია მოსე იყო ჩემი დიდი პაპა, მამაჩემის ბაბუა. რომლის შვილი, ულამაზესი ვაჟკაცი, გივი ჯორკოშვილი მფრინავად იბრძოდა მოსკოვის ესკადრილიაში. 1944 წლის ზაფხულში ორკვირიანი შვებულებით (სანამ მის თვითმფრინავს არემონტებდნენძ ჩამოსულა, რომლის დროსაც თავისი სამშობლო ქიზიყი მოუვლია და მოუსიყვარულებია. თბილისში დაბრუნებულის და ფრონტზე მიმავალისთვის, ძია მოსეს, ერთადერთი ვაჟისთვის, კახურად უთქვამს – „ე ომი საცაა გათავდება, აქ ერთი კაცია, ხალხი „აკოპიდან“ ამაიყავს. შენ აქა მყევხარ, ცოტა ფულ მივცემ იმაი და იგეთ ქაღალდს გაგიკეთებს, აღარ წახვალ ომშიო“...

„ეგ რა მითხარი მამა, შენს გაზრდილს, ეგ როგორ გამიბედე, მე იქ ამხანაგები, სტალინი მელოდებიან, ეგ როგორ მაკადრეო“...

როგორც ქიზიყში იტყვიან, „უმძრახად“ დარჩენილან მამა-შვილი. ანუ, წასვლამდე ხმა არ გაუციათ ერთმანეთისთვის. წავიდა გივი ჯორკოშვილი ფრონტზე და ორ თვეში დაიღუპა. ომში კი უმისოდაც გაიმარჯვა სტალინმა, ისე, როგორც ძია მოსე ეუბნებოდა – „უშენოდაც მაიგებენ ამ ომსაო“. ჰოდა რომელიღაც ძმათა სასაფლაოზე განისვენებს დღეს ქიზიყელი „ღიმილის ბიჭი“...

ამას გაიგებენ ჩოლოყაშვილები? მეტი არაა ჩემი და თქვენი მტერი, მკითხველო...

ვერ და არც გაიგებენ, რადგანაც „კოალიცია ევროპული საქართველოსთვის“ მსგავსი, ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები იმ დავალებას ასრულებენ, რასაც ისტორიის გადაწერა ჰქვია. რაც უკვე გააკეთეს ამერიკაში. რისი დასტურიც, ომის თემატიკაზე ჰოლივუდში გადაღებული ფილმებია, რომელთა ყურებისას ისტორიაში ჩაუხედავ კაცს, ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩება, რომ მეორე მსოფლიო ომი „რიგითმა რაიანებმა“ მოიგეს და სსრკ თუ სტალინი ვინ იყვნენ, ისე რუსებიც იბრძოდნენ, შიგადაშიგ და ალაგალაგ...

არა და ხომ ფაქტია, რომ ე.წ. მეორე ფრონტი მაშინ გაიხსნა, როდესაც პრაქტიკულად ყველაფერი დამთავრებული იყო. და ისიც იმიტომ, რომ ომის შემდგომი „ნამცხვრიდან“ მსუყე ნაჭერი დაეთრიათ ე.წ. მოკავშირეებს. არა, არც იმის დაუნახაობა ივარგებს თუ რამხელა ეკონომიკურ დახმარებას უწევდა აშშ საბჭოთა კავშირს მეორე ფრონტის გახსნამდეც, მაგრამ არც ის „ლენდლიზი“ იყო მთლად უანგარო – ამ პროგრამით გადმოცემული იარაღის თუ სურსათის სანაცვლოდ, ამერიკის ეკონომიკა არნახულ აღმავლობას განიცდიდა, ე.წ. დიდი დეპრესიის შემდეგ. ანუ, მაშინ, როდესაც ლამის მთელი ევროპა ნანგრევებად იყო ქცეული, ამერიკა შენდებოდა და მდიდრდებოდა. სხვათა შორის ასე იყო პირველი მსოფლიო ომის დროსაც...

ეეჰ, ეგ არაფერი ჩემო მკითხველო, ნათქვამია – „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“ და ესენიც წავლენ, როცა იქნება და მოვა დრო, როდესაც სტალინი, დღისით, მზისით, მთელი მსოფლიოს დასანახად და ბევრის გულგასახეთქად, ზარზეიმით დაბრუნდება გორის ცენტრში, საიდანაც ღამით ქურდულად გააქრეს. და ვერავინ, ვერასდროს შეძლებს სტალინსა და ჰიტლერს შორის ბოროტების ტოლობის ნიშნის დასმას, რასაც აშკარად ცდილობენ დღეს, ევროსაბჭოში მოკალათებული ფარული მასონები თუ სიონისტები და შინაური, ჩოლოყაშვილის მსგავსი „ლიბერასტები“.

ასევე დაბრუნდება „დედა ენაში“ სოსელოს გენიალური ლექსი და ჩვენი შვილები თუ შვილიშვილებიც „ვარდს გაეფურჩქნა კოკორით“ აღიზრდებიან ისევე, როგორც ჩვენ, მათი მამა-პაპანი ვიზრდებოდით სამშობლოს პატრიოტებად!

რაც შეეხება ისტორიულ სამართლიანობას, ის მაშინ აღდგება, როდესაც საქართველოში ველარ გაიჭაჭანებენ „კოალიცია ევროპული საქართველოსთვის“ მსგავსი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები. რადგანაც მე არც ევროპული, არც ამერიკული და არც რუსული საქართველო არ მინდა. მე ქართული საქართველო მსურს!!!

თქვენ, ჩვენო მკითხველო?..

**დავით მხეიძე.**

P. S. წერილი თითქმის მზად მქონდა, როდესაც „კავკასიის“ ეთერში, „კოალიცია ევროპული საქართველოსთვის“ კიდევ ორი წარმომადგენელი – მიხეილ თავხელიძე და ქეთევან გაბიანი ვიხილე. ეს ის მიშაა, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს დაემუქრა, იმ ქაღალდს (საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ დოკუმენტს, რომელიც „არ ევასა“) თავზე გადავახევო. რაც შეეხება ქალბატონს, იმდენად ამაზრზენი იყო მისი ცინიზმი, რომ თავხედ თავხელიძესაც კი მოუჯოკრა.

„ბარიერის“ დასრულების შემდეგ დავურეკე სოსო მანჯავიძეს და მოთმინების უნარი შევუქე.

**დ. მ.**

ვითომ!

# „მიშაბათებული“ სპექტაკლი რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში

**ბოლო თითქმის თხუთმეტი წლის მანძილზე ქართული კულტურისა და მწერლობის წარმომადგენელთ თითქმის არ უგრძნიათ, რომ მათ საავტორო უფლებებს ვინმე იცავდა. თუმცა საქართველოში ავტორთა საზოგადოებაც ვითომ არსებობდა და ამ საზოგადოებას თავისი თავმჯდომარეც ვითომ ჰყავდა ელგუჯა შაფათავას სახით.**

და აი ე. შაფათავას უთხრეს, რომ უნდა წასულიყო, მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, ვითომ თვითონ გადადგა და განცხადებაც დაწერა თანამდებობიდან წასვლის შესახებ.

გუშინ, 11 მაისს, რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში საქართველოს ავტორთა (უფლებათა დაცვისძ საზოგადოების ახალი თავმჯდომარის არჩევნები გაიმართა. შეკრებას ძველი თავმჯდომარე ე. შაფათავა უძღვებოდა, მაგრამ ვაი ამ გაძღოლას და ვაი ამ არჩევნებს... ბევრად ჯობდა, სულ არ გამართულიყო, რადგან ლილოს ბაზრობაზე, ალბათ, მეტი წესრიგი და ურთიერთმოსმენაა, ვიდრე ამ მართლაც ეგრეთ წოდებულ „მიშაბათებულ“ სპექტაკლზე ვიხილეთ.

უკეთესი მომავლის მოიმედე ავტორთა ამ ვითომ შეკრებაზე თავმჯდომარის ორი კანდიდატურა იდგა. ყველა ელოდა, რომ არჩევნები ფარული კენჭისყრით მოხდებოდა. მაგრამ ნურას უკაცრავად. საზოგადოების წესდებაში თურმე ღია კენჭისყრაც დასაშვებად ყოფილა მიჩნეული და „საქპატენტის“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა სწორედ ეს გზა აირჩია და დაიწყო ნახევრად ცარიელ დარბაზში, აბა, ასწიეთ ხელები, აბა, დასწიეთ ხელები, თავი ვინ შეიკავა, თავი ვინ არ შეიკავა... და ეს ყველაფერი ხუმრობის ხასიათზე მოსული კარგა გვარიანად შეთხელებული დარბაზის ხორხოცსა და სიცილში მიმდინარეობდა.

მოთხოვნა, რომ არჩევნები მომზადებულიყო და სხვა დროს ჩატარებულიყო, „ზემოდან“ მოსულმა „ამხანაგმა“ ყურად არ იღო, და საქართველოს ავტორთა საზოგადოების ახალ თავმჯდომარედ იურისტი გიგა კობალაძე ვითომ ავირჩიეთ (რასაკვირველია, ნაციონალიძ, რომელმაც თავშიც და ბოლოშიც ფიცი დადო, რომ მისი სახით საქართველოს ავტორებს ამიერიდან „მზრუნველი პატრონი“ ეყოლებათ...

ვნახოთ. ღმერთმა ქნას! თავის დროზე ასეთივე ფიცი დადო ელგუჯა შაფათავამაც, რომელსაც თავის განვლილ მუშაობაზე არც თვითონ უთქვამს ერთი სიტყვა და არც სხვა ვინმეს, რადგან შეკრების დღის წესრიგში ასეთი საკითხი თურმე, შეტანილი არ ყოფილა.

ერთი სიტყვით, როგორც ნათქვამია, კრება დარჩა მხიარული...

**გურამ წიკლაური**

რეჟისორის თვალსაწიერი



***11 მაისს ცნობილ ქართველ კინორეჟისორ გიორგი შენგელაიას დაბადებიდან 74 წელი შეუსრულდა. რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი, საპატიო ნიშნის ორდენის კავალერი და არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზისა და საპატიო დიპლომის მფლობელი რეჟისორი თბილისში 1937 წლის 11 მაისს დაიბადა. არის რეჟისორი ფილმებისა: „ალავერდობა“ (1963), „მაცი ხვიტია“ (1965), „ვერის უბნის მელოდიები“ (1973), „სიყვარული ყველას უნდა“ (1980), “ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ (1984), „ხარება და გოგია“ (1987), „ორფეოსის სიკვდილი“ (1996), „სიყვარული ვენახში“ (1999) „მიდიოდა მატარებელი“ და სხვა.***

***„მედიანიუსი“ დაინტერესდა, თუ რა განწყობით შეხვდა იგი საკუთარ დაბადების დღეს და რას უსურვებს სამშობლოსა და საკუთარ თავს.***

# ხელისუფლებამ ახალი სცენარი ჩამიგდო

**– ბატონო გიორგი, სად და როგორ ხვდებით დაბადების დღეს?**

– დაბადების დღეს ყოველთვის სახლში ვხვდები. არ მიყვარს „ტუსოვკები“ და საზოგადოების შეკრება. მე ვარ ისე, როგორც ფიროსმანი იყო – მარტო კაცი. საზოგადოებრივ „სვეტსკი ტუსოვკებს“ ვერიდები. დაბადების დღეს მუდამ სახლში აღვნიშნავ, მოვლენ ჩემი შვილები, ძმა და ასეთი ხალხი, მეტი არავინ.

**– გამორჩეულად რომელ დაბადების დღეს გაიხსენებდით?**

– გამორჩეულად გავიხსენებდი იმ დაბადების დღეს, როცა დავიბადე (იცინისძ. იმაზე დიდი ბედნიერება რა არის, კაცი რომ მოვა ქვეყანაზე? რუსთაველმა თქვა, „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. ეს არის ჩვენი ქვეყანა, სადაც ვცხოვრობთ და ცუდია, კარგია, მოუსავლიანია თუ მშიერია იგი, მაინც კარგია. ჩემი ცხოვრებიდან გამომდინარე, ზოგჯერ კარგ ფილმს რომ გადაიღებ და დაბადების დღეს დაემთხვევა, უფრო ბედნიერი ხარ. ზოგჯერ, როცა შენს სცენარს ჩააგდებენ, როგორც ახლა ჩამიგდო ამ ხელისუფლებამ, დაბადების დღეს მაინცდამაინც კარგ გუნებაზე ვერ ხვდები.

**– რა ფილმის სცენარი ჩააგდეს?**

– ამ ფილმში ვამბობ ყველაფერს, რასაც ესენი მიტინგებზე ყვირიან. მაგრამ ამათ რა კულტურა უნდათ, ამათ უნდათ „ნანუკას შოუ“, მაგრამ მაგ სურათს მაინც გადავიღებ. ამათი ერთი კაპიკიც არ მინდა. ახლა უცხოეთის ფონდებს მივმართე. ისინი იცნობენ ჩემს შემოქმედებას და რაღაც თანხას აუცილებლად გამომიყოფენ. ძალიან აქტუალური სურათია. ის ლტოლვილებს ეხება, რომლებიც ხელისუფლების მიერ აშენებულ „გეტოებში“ (იგულისხმება დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტები – **რედ.**ძ ცხოვრობენ. მოქმედებაც ამ გეტოში ვითარდება. აქტუალური სიუჟეტია, საიდანაც გამოჩნდება, რომ ეს ომი არ უნდა დაეწყო ამ ჩვენს ბრიყვ პრეზიდენტს. პირდაპირ ასე დაწერე, მე ეს მეკადრება! რა დღეში ჩააგდო ქართული ეთნოსის ყველაზე კარგი ნაწილი, ანუ შიდა ქართლი, სადაც თავის დროზე ვერც შაჰ-აბასი და ვერც ვერავინ შედიოდა და რომელმაც ყველაზე კარგი ქართული ენა შემოგვინახა. დღეს ეს ხალხი არის გეტოში. თავიდან რაღაცები გადაუყარეს, ახლა კი საწყლები მშივრები ისე ყრიან, როგორც უცხო ხალხი, ლტოლვილები – ლიბიაში.

**– რას უსურვებთ საკუთარ თავს?**

– „ტურფა საბაღნაროდან“ გამომდინარე, ბევრ დაბადების დღეს ვუსურვებ, რომ ვიცხოვრო და ვუყურო ამ ქვეყანას, როგორც რუსთაველმა თქვა.

**– რას უსურვებთ საქართველოს?**

– ვუსურვებ, კარგად დაფიქრდეს ყველაფერზე. რომ ამბობენ, ღვთისმშობელი გადაგვარჩენსო, ღვთისმშობელი კი არ გადაარჩენს, ის ამ ქვეყანას ცდის. ქრისტესმიერი სიყვარული გამოცდაა. ისე უნდა იცხოვრო, როგორც ქრისტეს მცნებებითა და მორალით მოგეთხოვება და ასე შეგიყვარებს ღვთისმშობელი. ხომ ამბობენ სამჯერ ცდისო ღვთისმშობელი. ერთი გამოცდა იყო გამსახურდია, მეორე – შევარდნაძე და მესამეა სააკაშვილი. თუ ხალხი აქაც ახალ ხიდებს, გზებსა და, სიმბოლურად ვამბობ, „ნანუკას შოუს“ გამოეკიდა, მაშინ დაღუპულია საქართველო, აღარ იარსებებს იგი. ხალხმა უნდა გაიღვიძოს, წაიკითხოს წიგნები, რომლებიც არ წაუკითხავს, ისევ ილია წაიკითხონ. მინდა, გაიღვიძოს ხალხმა და ამ ოპოზიციურ სპექტრში მიახლოებით მაინც აირჩიოს წესიერი ხალხი, რომელიც ფულს არ მოიპარავს, რომელსაც ამბიციები არ აქვს, პატივმოყვარე არ არის და მათთვის და მათნაირად იცხოვრებს. თუ ამ არჩევნებზე ისევ ავანტიურისტები მოვიდნენ, დაღუპულია საქართველო. მე არჩევნების მომხრე ვარ და არა – გადატრიალების, კიწმარიშვილი, ბურჯანაძე და ვიღაც ავანტიურისტები რომ გეგმავენ.

**– პოლიტიკაში დაბრუნებას თუ აპირებთ?**

– კი, ამას ველოდები. ამ მაიმუნობებში მონაწილეობას არ მივიღებ, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობას აუცილებლად მივიღებ და ჩემს ხალხს წარვადგენ. მე, ალბათ, შემოდგომაზე გამოვჩნდები. მხარს არა მხოლოდ უბრალო ხალხი, არამედ ინტელექტუალები: აკადემიკოსები, დიდი მსახიობები და დიდი რეჟისორები მიჭერენ. ისეთი ტიპის პარტიას ვქმნი, სადაც არც ერთი რეგულარული პოლიტიკოსი არ იქნება. ეს შინაარსით ახალი პარტია იქნება. ილიამ თავის დროზე წერას თავი ხომ დაანება და ქართველ ხალხს სათავადაზნაურო ბანკის მეშვეობით ეხმარებოდა. ვცდილობ, ეგეთი რაღაც გავაკეთო!...

**მედიანიუსი**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ კალათბურთი

# ისევ ისინი



წლევანდელი სუპერლიგის მონაწილეთაგან თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას, გამოირჩევიანო, ეს „არმია“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდებია, ამიტომ სავსებით ლოგიკური იყო, გათამაშების მსვლელობისას გულშემატკივრები ნახევრად ხუმრობით რომ ამბობდნენ, რა აზრი აქვს ტყუილად დროისა და ხარჯების ფლანგვას, ბარემ ახლავე შევახვედროთ ისინი ფინალშიო.

პლეი-ოფებმა დაადასტურა ასეთი ვარაუდის საფუძვლიანობა – როგორც ლევან მოსეშვილის, ისე ნუგზარ ჭეიშვილის შეგირდებმა უპრობლემოდ დაძლიეს მეოთხედფინალური წინაღობა და უკვე საუკეთესო კვარტეტის ბრძოლებშიც დაწინაურდნენ: **„არმია“ – „სოხუმი“ 66:52, თსუ – „ქუთაისი“ 97:64.**

გადამწყვეტი რაუნდისკენ პირველი ნაბიჯის წარმატებით გადადგმა განსაკუთრებით ძალოვნებს გაუჭირდათ, რომლებიც მესამე პერიოდის შუაწელამდე მდევრის როლში იყვნენ, მაგრამ მეტოქეს ფიზიკური მომზადებით აჯობეს და შარაბიძე-ტულუში-ბოისას ტრიოს ძალისხმევით ანგარიშიც გახსნეს – 1:0.

რაც შეეხება სტუდენტებს, მათი უპირატესობა თანდათან იზრდებოდა, დასკვნით პერიოდში კი თვალსაჩინო გახდა. პარტნიორთაგან შედარებით ბერიშვილმა და ფანჩულიძემ ივაჟკაცეს.

**გუშინ: „არმია“ – „სოხუმი“ 85:65 (2:0), თსუ – „ქუთაისი“ 75:87 (1:1).**

**გიორგი შოთაძე**

◉ კრიმინალი

# დანაშაული და სასჯელი

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა სამუდამო დისკვალიფიკაციით დასაჯა გარიგებულ თამაშებში ბრალდებული ხუთი პიროვნება: გია, კირთაძე, ონიანი, ბეჟვაია და ვართაგავა.**



ყოფაში საყვარელი საქმისაგან ახალგაზრდების მოსაკვეთად ძნელია ვინმეს გამეტება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ისინი განტევების ვაცებად იქცნენ. და-

ალსანიშნავია, რომ ასეთი უმკაცრესი, მაგრამ სავსებით სამართლიანი განაჩენის სასარგებლოდ გადაწყვეტილება ერთი ხმის უპირატესობით გავიდა – 9:8. აღმასკომის მეთვრამეტე წევრი – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ფედერაციის თავკაცი გია შარაბიძე სხდომაზე არ გამოცხადდა.

რასაკვირველია, ამ დუხჭირ ვიჯეროთ, ქართულ ფეხბურთში მეტი არავინ ამღვრევს წყალს?

აქვე ერთი პროგნოზის გამოთქმის უფლებასაც მივცემ თავს: თუ ყველას არა, რომელიმეს მაინც შეიწყალებენ და მომავალ ეროვნულ ჩემპიონატში გამოსვლის უფლებასაც მისცემენ, ხოლო ამჯერად გამოტანილი ვერდიქტი ფიფასა და უეფას წინაშე საკეკლუცოდ დასჭირდათ.

**გია პლატონიშვილი**

◉ კარატე

# ჯილდოები ბალკანეთიდან



**ამ დღეებში ბულგარეთის დედაქალაქ სოფიიდან დაბრუნდნენ ქართველი კარატისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის კარატე-დოს ფედერაციისა (პრეზიდენტი – ლატჩეზარ ნენოვიძ) და საერთაშორისო იაპონური კარატე-დოს ასოციაციის (I-J.K.A.ძ (უფროსი-ინსტრუქტორი სადაშიგე კატო, მე-9 დანიძ ორგანიზებით გამართულ საერთაშორისო სემინარში და ტურნირში.**

ბალკანეთში ათი ქვეყნის გუნდების მხარდამხარ საქართველოს შოტაკან კარატე-დოს კონფედერაციის 5 კარატისტმა იასპარეზა, წარმატებითაც.

„ჯვაროსანთა“ დელეგაციას ვერცხლის მედალი ინდივიდუალურ კატაში (უფროს ასაკში) შავი ქამრის მე-4 დანის მფლობელმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა კარატეში მზეჭაბუკ მახარაძემ მოუტანა. მანვე ინდივიდუალურ კუმიტეში მესამე პრიზი მოიპოვა.



დებიუტანტმა ბექა ოთარაშვილმა შესაშური შეუპოვრობა გამოიჩინა და 13 წლის მოზარდ სპორტსმენებში ინდივიდუალური კუმიტეს აბსოლუტურ კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა.

კარგად გამოვიდნენ აგრეთვე კონსტანტინე ჟღენტი, გიორგი გოჩაძე, ავთანდილ კერესელიძე, რომლებმაც საერთაშორისო ტურნირებში გამოუცდელობის გამო თავიანთი ასაკის სპორტსმენებს შორის მეოთხე ადგილი დაიკავეს.

დავძენთ, რომ ჩვენმა კარატისტებმა უმაღლესი ტექნიკური შეფასება დაიმსახურეს კარატეს საკვალიფიკაციო სემინარზე, რომელიც მე-9 დანის მფლობელმა სადაშიგე კატომ ჩაატარა.

◉ ფეხბურთი

# „გაგრას“ თავი ქუდში აქვს

**თბილისის „მერანის“ სტადიონზე უამრავმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ქომაგთა შორის მარტვილელები ჭარბობდნენ. არც იყო გასაკვირი – მათი საყვარელი გუნდი „მერანი“ ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის ერთპიროვნულ ლიდერ „გაგრას“ ეთამაშებოდა.** ამ გუნდების პირველი ტურის შეხვედრა მარტვილელთა გამარჯვებით დამთავრდა 1:0. იმ პაექრობის შემდეგ „მერანი“ (შეროზია (გორდეზიანიძ, ჟვანია, იობაშვილი, ჩალაძე, კაკუშაძე (ტაპეძ, ილურიძე, ჯეისი (წოწორიაძ, მემანიშვილი, ამბროლაძე, კუჭუხიძე, თოდუაძ კარგა ხანს მეწინავეობდა. ბოლო ტურებში ქულები დაკარგა და „გაგრამ“ (სეფიაშვილი, ტყეშელაშვილი, ხურციძე, კვანტალიანი, ნაკონეჩნი, ჯიშკარიანი, შარიქაძე, კალანდაძე, ჩხეტიანი, ოვონიკოკო (ციცხვაიაძ, ორდინსკიძ გადაასწრო. ამ უკანასკნელს ჩემპიონატის დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე, ფაქტობრივად, უმაღლეს ეშელონში გადასვლა გარანტირებული აქვს, თანაც 26 მაისს ეროვნულ სტადიონზე საქართველოს თასის ფინალი ელის, ამიტომ ბევრს ეგონა, რომ გაგრელი ფეხბურთელები ტურის ცენტრალურ მატჩში ძალებს დაზოგავდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა: ორივე გუნდის წარმომადგენლებმა ქომაგებს იმედები არ გაუცრუეს – გულშემატკივრებს ლამაზი, შემტევი ფეხბურთი აჩვენეს.



მატჩის დებიუტშივე სტუმრები დაეუფლნენ უპირატესობას. მე-9 წუთზე თოდუას მასპინძელთა კარის აღების შანსი მიეცა, მაგრამ ბოლო მომენტში სიზუსტემ უმტყუნა. ორიოდე წუთში ამბროლაძეს შეეძლო „მერანის“ დაწინაურება. აქ კი მეკარე სეფიაშვილმა იყოჩაღა და ბურთი კუთხურზე მოიგერია. პირველი ტაიმის მე-18 წუთიდან კი მატჩის სურათი რადიკალურად შეიცვალა. სტუმართა კარში პირველი გოლი კალანდაძემ გაიტანა – მარტვილელთა მეკარე შეროზია ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. მან ამ დღეს კიდევ ორჯერ დაალალატა თანაგუნდელები. ჯერ იყო და, ხურციძის დარტყმული ბურთი უხეიროდ მოიგერია, რითაც კვანტალიანმა ისარგებლა და ანგარიში ორამდე გაზარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი უკრაინელი ნაკონეჩნის მიერ 35 მეტრიდან დარტყმული აღმოჩნდა ზუსტი. მარტვილელთა აქტიურმა თავდამსხმელმა თოდუამ შესვენებამდე პრესტიჟის გოლი გაიტანა. მეორე ტაიმში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ორივე გუნდის ფეხბურთელებს ჰქონდათ კარის აღების შანსი, მაგრამ ვერ გამოიყენეს. საბოლოოდ პაექრობა გაგრელთა გამარჯვებით დამთავრდა – 3:1.

მატჩის შემდეგ „მერანის“ მთავარმა მწვრთნელმა მალხაზ ჟვანიამ გვითხრა, რომ ორთაბრძოლა მეკარისა და დაცვის ხაზში დაშვებული უხეში შეცდომების გამო წააგეს. მარცხის მიუხედავად, მათ უმაღლეს ეშელონში გადასვლის კარგი შესაძლებლობა აქვთ და ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებენ. კლუბის მეპატრონე ფრიდონ ინჯიაც დარწმუნებულია გუნდის წარმატებაში და მომავალი სეზონიდან ქომაგებს უფრო ლამაზ ფეხბურთს ჰპირდება.

„გაგრის“ მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი პისკოვეცმა მადლობა გადაუხადა შეგირდებს თავდადებული ბრძოლისთვის და ისიც დასძინა, რომ აქტიურად მოემზადებიან საქართველოს თასის ფინალისთვის და საპატიო ჯილდოს დასაუფლებლად არაფერს დაიშურებენ.

**ბესიკ გვაზავა**

◉ ინტერნეტიდან

## მატჩის წინ სექსი ფანტასტიკაა!..

**და ძალზე სასარგებლოც, – ასე მიაჩნია ცნობილ იტალიელ ჩოგბურთელ ქალს ფრანჩისკა სკიავონეს. „ქალებისთვის მატჩისწინა სექსი აუცილებელია. ეს ფანტასტიკაა. სექსი ამაღლებს ჰორმონულ დონეს, რაც ხელს უწყობს ნორმალურ თამაშს“, – ამბობს ლამაზმანი.** აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში სკიავონემ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თამაში, გასულ სეზონში „როლანდ გაროშიც“ გაიმარჯვა. თუმცა ყოველივე ეს დამოკიდებულია თუ არა თამაშების წინ სტაბილურ სექსთან, ფრანჩესკა არაფერს ამბობს. მაგრამ თუ მის მტკიცებას გავიხსენებთ, უნდა ითქვას, რომ ეს ალბათ ასეა.



ისიც უნდა ვთქვათ, რომ ლეგენდარული მოკრივე მუჰამედ ალი თავისი ბრძოლების წინ მთელი ექვსი კვირა არ ეკარებოდა ქალს. შედეგიც ნათელია – ის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი სპორტსმენია. ბრიტანელი ჩოგბურთელი ენდი მარეი კი სოლიდარულია სკიავონესთან. ბრიტანელის თქმით, ის არ ეკუთვნის იმ სპორტსმენებს, ვინც თავს იკავებს თამაშის წინ სექსისგან.

## რონალდო – კინომსახიობი?



**ცნობილმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა, ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა რონალდომ, რამდენიმე თვის წინათ ფეხბურთს რომ გამოეთხოვა, თავის გამოცდა კინოში გადაწყვიტა.**

34 წლის ბრაზილიელი აპირებს სამსახიობო ოსტატობის კურსებზე სიარულს. მას უნდა ბანკების მძარცველის როლის შესრულება რეჟისორ მარსიო გარსიას ფილმში პირობითი სახელით „ღია გზა“, – ფილმის გადაღება ივნისში ლოს-ანჯელესში დაიწყება.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

### გურმანები

# რას მიირთმევენ მილიარდერები

**რომის პატრიციუსი ლუკულუსი სახელოვანი მთავარსარდალი იყო, წარმატებული პოლიტიკოსი, გულუხვი მეცენატი და მსოფლიოში პირველი საჯარო ბიბლიოთეკის ორგანიზატორი, მაგრამ ისტორიაში ის შევიდა როგორც გურმანი და ღორმუცელა, რომელმაც გრანდიოზული სადილებისთვის მრავალმილიონიანი ქონება გაანიავა.**

როგორ შეძლო ეს მან? სულ უბრალოდ! მაგიდისთვის ხამანწკებს ის სამხრეთი იტალიიდან იწერდა, ესპანურ კურდღლებს, ეგვიპურ ფინიკებს, ბერძნულ წეროებს, აფრიკულ ციცარებს, სტუმრებს სთავაზობდა სირაქლემის ტვინს და ბულბულების ენებს. და მას შემდეგ პირის პატივის მოყვარული მილიონერები ცდილობენ, მოიპოვონ ლუკულუსის გვირგვინები, გაუმასპინძლდნენ მაღალი რანგის ნახირს კოლექციური ღვინოებით.

როგორი პროდუქტები და კერძები არის დღეს მიჩნეული ყველაზე ძვირად?

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაფასებული დელიკატესი – ხიზილალაა. ქარიყლაპიას, კობრის, ვირთევზას და „ზღვისიქითა ბადრიჯნის" ქვირითსა და მარცვლებზე ლაპარაკიც არაა – ეს გემრიელია, მაგრამ იაფი. წითელი ხიზილალა, ორაგულისებთა „შვილები", კილოგრამი 35 დოლარიდან იწყება. შავ ხიზილალას აწარმოებენ თართისებრი თევზებიდან, მისი ფასი დამოკიდებულია ხარისხსა და მომწიფებაზე: კილო ტარაღანის („სევრიუგის") ხიზილალა 200 ევრო ღირს, თართისა – 450 ევრო. ხოლო მსოფლიოში ყველაზე ძვირი ხიზილალა – ირანული „ალმასია", ყვითელ ხიზილალას ამზადებენ ალბინოსი სვიისგან („ბელუგა"). ფუფუნების ამ კერძის ფასი გურმანს 25 ათასი დოლარი უჯდება. თუმცა გათვალისწინებულია დამამშვიდებელი პრიზი – დელიკატესის ქილა დამზადებულია წმინდა ოქროსგან.



მსოფლიოში ყველაზე ძვირი თევზი – 108 კილოგრამიანი თინუსი („ტუნეცი") 178 ათას დოლარად გაიყიდა. ყველაზე ძვირი თევზპროდუქტი – ერთი კილოგრამი ზვიგენის ფარფლები 700 დოლარად გაიყიდა. ცოცხალი დიდი ასთაკვი („ომარი") ღირს 100 დოლარი ერთი კილოგრამი, თუ, რასაკვირველია, არ მივმართავთ ლუკულუსის მაგალითს და შევუკვეთავთ კერძს ასთაკვის ღვიძლისა და ხიზილალისაგან. ზღვის ბინადართაგან ყველაზე მდიდარი კი კიბოსებრი პერცებესი ანუ ზღვის თირკმელა სოკოა („ტრიუფელი") – ერთი კილოგრამი 390 დოლარია.

თუ ხმელეთზე დავბრუნდებით, მსოფლიოში ყველაზე ძვირი ხორცი მარმარილოს საქონლის ხორცია. წყარო – იაპონური ვოგიუს ბოჩოლაა, რომელსაც ჯერ ნახევარი წლის განმავლობაში თავისუფლად აძოვებენ, შემდეგ ჰკიდებენ ბაგებში სპეციალურ სადავეებზე, უკეთებენ მასაჟს, ასმევენ ლუდს და ასმენინებენ კლასიკურ მუსიკას. როდესაც საბრალოს, ბოლოს და ბოლოს, კლავენ, მისი ხორცი ერთი კილოგრამი 500 დოლარი ეღირება. მარმარილოს საქონლის ხორცს ავსტრალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ამზადებენ უფრო ჰუმანური გზით, მაგრამ ის ისე გემრიელი არაა – იაპონური ბიფშტექსი პირდაპირ დნება პირში.

ყველაზე ძვირი ქათამი – ბრესული დედალია. ოქროს კვერცხებს ის არ დებს, მას შერჩეულ მარცვლეულს აჭმევენ, ყელზე არტყია სამფეროვანი ქამარი და პატრონის ბეჭედი. ის გემრიელი ქათმის ხორცის მოყვარულებს 140 დოლარი უჯდება ულუფა. და აქვე ფრინველის შესახებ. შეუძლებელია არ მიირთვა სახელგანთქმული კერძი ფუა-გრა ღვიძლი ბატისა, რომელიც გამოკვებილია მკაცრად ბატისავე ქონიანი ნაწილებით. ფასი დამოკიდებულია იმაზე, ღვიძლი მთელია თუ ნაწილები, გაყინულია თუ შებოლილი. დიაპაზონი – 70-დან 500 დოლარამდე.

### ოქროს ვაშლი

**„პომე-დიორ" – ასე უწოდებდნენ ადრე უბრალო პამიდორს და ის ძვირიც ღირდა. სხვათა შორის, დღესაც ბაღების, ბაღჩების, ტყეებისა და ველების ზოგიერთი ნაყოფი ოქროს ფასად ღირს. თუ ბოსტნეულს შევხედავთ, ლუკულუსი კმაყოფილებით იქნებოდა გაოცებული: მისი სიყვარული თეთრი სატაცური სეზონის დროს ღირს 15 ევრო ერთი კილოგრამი.** ხოლო ყველაზე ძვირი კარტოფილი, რომლის არსებობის შესახებ რომაელს ეჭვიც კი არ ჰქონია, ერთი კილოგრამი – 500 დოლარია. ეს ლა ბონეტეს ჯიშია – ის მოჰყავთ წყალმცენარეების ნაცარზე და ხელით კრეფენ.

მსოფლიოში ყველაზე ძვირი კენკრა – დენსუკის ჯიშის იაპონური საზამთროა: რვაკილოგრამიანი ეგზემპლარი აუქციონზე 6100 დოლარად გაიყიდა. მსოფლიოში ყველაზე ძვირი (და ყველაზე მყრალი) ხილი – შეუდარებელი დურანია, ერთი ნაყოფი შეიძლება 100 დოლარიც კი ღირდეს. როდესაც მის დაგემოვნებას დააპირებთ, არავითარ შემთხვევაში არ შეეხოთ მას ხელით – არომატს ვერ მოიშორებ. სხვათა შორის, იაპონური ვაშლი აომორის პროვინციიდან მისი კონკურენტია – ერთი ცალი 1000 იენი ღირს.

სოკოები, უდავოა, პირველობის პალმას ფლობენ მცენარეული წარმომავლობის დელიკატესებს შორის. ყველაზე მარტივი – თეთრი სეზონზე ღირს ათი დოლარიდან ერთი კილოგრამი, იაპონური სოკო შიიტაკე – 12-15 დოლარი. სოკო მაცუტაკე, რომელიც იაპონურ წითელ ფიჭვებთან ერთად ძრება, გურმანს ერთი კილო 400 დოლარი დაუჯდება. მაგრამ მეფეთა მეფე – ეს თირკმლის სოკოა. განუმეორებელი გემოსი და ღვთიური სურნელის მქონე ამ სოკოს, კულინარებს თუ დავუჯერებთ, შეუძლია დაამშვენოს ნებისმიერი კერძი. რომელი უკეთესია – თეთრი იტალიური პიემონტიდან თუ შავი ფრანგული პერიგორიდან, ერთბაშად ვერ იტყვი. როდესაც ამაზე დავობენ, სახელგანთქმული მზარეულები ხელებს მაღლა წევენ. მაგრამ ყველაზე ძვირფასი თირკმლის სოკო, რომელიც აუქციონზე გაიყიდა 160,4 ათას დოლარად, თეთრი იყო.

ყველაზე ძვირი ჩაი მსოფლიოში „და ხუნ პაო" („დიდი წითელი ხალათი") ჩაი „უდუნის" ნაირსახეობას განეკუთვნება. მისი წლიური მოსავალი 500 გრამია, ფასი კი ერთ კილოგრამზე – 685 ათასი დოლარია. მისი „შუათანა ძმა" „ტაი-ში ულუნი" 250 ათასი დოლარი ღირს, უმცროსი „ან-სი" – 150 ათასი. ლიდერების სამეულთან შედარებით ინდური ჩაი „დერილინგ მექებეირი სილვერ ტიპში" – კილოგრამი 18 ათასი დოლარია. ყველაზე ძვირ ყავა „კოპი ლაუეკს" აქვს საეჭვო წარმომავლობა: ყავის მარცვლები იძენენ გასაოცარ გემოსა და სურნელს ცივეტის კუჭში ყოფნის და იქიდან ბუნებრივი გზით გამოსვლის შემდეგ. მისი ფასი ერთ კილოგრამზე 350 დოლარია. ფასით მეორე ჯიშია – ჰესინდა ლა ესმერალდა პანამიდან – დაახლოებით 200 დოლარი ერთი კილოგრამი.

### გურმანების სამოთხე

**რახან უკვე გავთვითცნობიერდით პროდუქტების ფასებში, შეიძლება რესტორნებშიც შევიაროთ.**

ყველაზე ძვირი წვნიანია (სუპი) – ბუდა ჯამპს ოვერ დი ვუოლი – ლონდონის ჩინური სამზარეულოს რესტორანში. იმის გაგება, თუ რისი გემო აქვს ღორის ხორცის, ჟენშენის, წიწილას, ზღვის კიტრის და სხვა დელიკატესების ნაზავს, 214 დოლარი დაგჭირდებათ. ძვირფასი წვნიანებიდან ყველაზე ეგზოტიკურია სალანგანი – ეს არის წვნიანი ნამგალას ბუდეებისგან და 1600 იუანი ღირს. მას, თუ იმათ დავუჯერებთ, ვინც იგი მიირთვა, შაქრიანი ლორწოს გემო აქვს და ამაღლებს პოტენციას.

ყველაზე ძვირფას სუშის ფილიპინის რესტორან კარატ-ჩეში ამზადებენ. ნორვეგიული ჩრდილოეთის ორაგულის, მანგოს, კიტრის (უბრალო და ზღვისა), შაქრის და იტალიური სოუსის გარდა, რეცეპტში შედის ოქროს ფოლგა, 12 მარგალიტი და ოთხი ბრილიანტი. მთლიანად – 4300 დოლარი ხუთ ცალში.

ყველაზე ძვირი პიცა იყიდება იტალიაში და 8300 ევრო ღირს, მას „ლუდოვიკო XIII" ეწოდება და განსაკუთრებულობით არ გამოირჩევა. კონიაკიც კი „რემი მარტინი", რომელსაც მასზე ასხამენ, არ აუმჯობესებს მის გემოს. ყველაზე ძვირი პური „როკუოტორტი ენდ ალმონდ სურდოგ ბრედი" ლონდონში იყიდება, უნივერმაღ „ჰეროლსში" და ღირს სულ რაღაც 25 დოლარი ერთი ბატონი.

როდესაც გაიგებთ, თუ რა ღირს მსოფლიოში ყველაზე ძვირი ყველი, არა გვგონია მოგინდეთ წარმოთქვათ სიტყვა „ჩიიზი". ცხვრის ამ ყველის ნახევარი კილო 6500 ევროდ გაიყიდა. მეორე ადგილს ათას-ათას ევროდ ერთ კილოგრამში იყოფს ორი პრეტენდენტი: სერბული ყველი პულე, დამზადებული იმ სახედრის რძისგან, რომელიც ბალახობს ნაკრძალის საძოვრებზე და ყველი ერთ-ერთ შვედური ფერმის ცხენ-ირემის (ლოსის) რძისგან.

სადესერტოდ ვისაუბროთ ტკბილეულზე. მდიდრებს თავიანთი უცნაურობები ახასიათებთ. ოთხი დესერტის ფასად ნიუ-იორკის ერთ-ერთ რესტორანში შეიძლება ბინა იყიდო. 25 ათასი დოლარი ნაყინისთვის – საჭმელი ოქროს ფოლგით, კაკაოს 28 ნაირსახეობით, პატარა შოკოლადით (260 დოლარი ერთ ცალში), მადაგასკარის ვანილით, თირკმლის სოკოებით, ხიზილალით. ოქროს ლამბაქი და ბოკალი შეიძლება წაიღო სამახსოვროდ.

ამ მიმოხილვის შედეგების მიხედვით შეიძლება ვთქვათ. ლუკულუსმა თავის დროზე დააგროვა ქონება ერთი მილიონი სესტერციით (დაახლოებით 2,5 მილიონი ევრო). მაგრამ მას რომ მოესურვებინა გაერთო თავისი სტუმრები ძეიფებით, სადაც იქნებოდა ყველაზე ძვირფასი დელიკატესები, ის გაკოტრდება მარტო დესერტებზეც კი.

**ვერონიკა ბახტანი**
**„კურიერი"**

### სამეცნიერო სესია სენაკში

# არნოლდ ჩიქობავას უკვდავება

**თბილისის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა დიდი ჯგუფი გამოჩენილი ენათმეცნიერის არნოლდ ჩიქობავას მშობლიურ რაიონს – სენაკს ეწვია.**

**სასტუმრო „ეას" სხდომათა დარბაზში გაიმართა მემორიალური სამეცნიერო სესია „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები".**

**სამეცნიერო სესია ტრადიციულია და მას ოცდამეორედ ატარებს ენათმეცნიერების ინსტიტუტი.**

**სესია გახსნა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა თენგიზ ადამიამ.**

**მისალმებებით გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების აკადემიკოს-მდივანი, პროფესორი გ. კვარაცხელია, ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი გ. გოგოლაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის სრული პროფესორი ც. ბარამიძე, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ლ. ეზუგბაია, საქართველოს პარლამენტის წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი სენაკიდან გ. მისაბიშვილი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების ხელმძღვანელი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ვ. შენგელია. მანვე სენაკის რაიონულ ბიბლიოთეკას გადასცა ინსტიტუტის შრომების ოთხი ტომი და ინსტიტუტის მიერ ახლახან გამოცემული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის პირველი და მეორე ტომები...**

**მისალმებათა შემდეგ მოისმინეს სამეცნიერო მოხსენებები. სესია ორ დღეს გაგრძელდა. მონაწილეები ეწვივნენ ძველი სენაკის არნოლდ ჩიქობავას სახელობის საჯარო სკოლას და არნოლდ ჩიქობავას სახლ-მუზეუმს საჩიქობაოს უბანში. იყვნენ ნოქალაქევში, სადაც დაათვალიერეს არქეოლოგიური გათხრები და „არქეოპოლისი".**

**იოსებ გოგეჩია,**
**„სრ" საკ. კორ.**
**ქ. სენაკი**

---

**შვილი მარინა კანდელაკი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაეცვალა დედა**

**შურა სამსონაძე-კანდელაკი**

**პანაშვიდი 13, 14 V, გამოსვენება 15 V, 15 სთ. აბაშის რაიონი, სოფელი მარანი.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ჩვენი გაზეთის დირექტორს ქალბატონ მარინა კანდელაკს გარდაეცვალა დედა**

**შურა სამსონაძე-კანდელაკი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს, სანათესაოს.**

**ეთერ ჯღარკავა-დუნდუა, ემა, გულისვარდი, გიორგი, მევლუდ დუნდუები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ნანი გუგულავა-ჩაგანავა**

**და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.**

---

### განცხადება

**2011 წლის 21 მაისს, დღის 12 საათზე გაიმართება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის „ისნის სავანე" წევრთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. მოზინადრეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული დარჩენილი თანხის შემოტანის გრაფიკის დამტკიცება;
2. მიმდინარე საკითხები.

კრება ჩატარდება ქ. თბილისში, დოლაშვილის №18, ამხანაგობის კუთვნილი მშენებარე სახლის I სართულზე. **ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონებზე: 775383, (899) 216214.**

**ამხანაგობის თავმჯდომარე მარიამ შპორტი**

### განცხადება

**ქ. თბილისის №193 საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს უზუფრუქტის ხელშეკრულებით დამტკიცებული სკოლის შენობის I სართულის 73.7 (64.4+9.3) მ² ფართის იჯარით გადასაცემად. მინიმალური საკონკურსო ფასი ყოველთვიურად – 300 ლარი. საიჯარო ურთიერთობის ვადა 11 თვე. განცხადებები მიიღება გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში №193 საჯარო სკოლაში.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით – ქ. თბილისი, №193 საჯარო სკოლა. მისამართი: რ. ლაღიძის №7, ტელ: 857 200 394 – მარინა გიგაური (დირექტორი).**

### ნოდარის კარიკატურა



– კიდევ დალევ, შე ოხერო?
– შენ დაასხი, საყვარელო, დავლევ თუ არა, ეგ მე ვიცი...

ამირან ერაძის ნახატი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## სულიერება

# წმინდა ანდრია პირველწოდებული



12 მაისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია წმინდა ანდრია პირველწოდებულს იხსენიებს, რომელიც საქართველოში ქრისტეს პირველმქადაგებელი იყო.

გადმოცემის თანახმად, საქართველოში შემოსულმა წმინდა ანდრია პირველწოდებულმა ქალაქ ტრაპზონში (დიდაჭარაძ მცირე დრო დაჰყო. მან იქ დაიწყო სახარების ქადაგება, მრავალი განსაცდელი დაითმინა ურწმუნოთაგან, მაგრამ ბევრიც მოაქცია. იმ ადგილას, სადაც მან ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი დაასვენა, ამოჩქეფა მშვენიერმა წყარომ. მის გარშემო შემოიკრიბნენ იმ ქვეყნის მკვიდრნი და მოციქულმა ნათელი სცა ყველას – სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა. ქართველებმა იქ ააშენეს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია.

ანდრია პირველწოდებულმა მოიარა საქართველოს სხვადასხვა კუთხე – სვანეთი, აფხაზეთი, ოსეთი. მას თან ახლდნენ მოციქულები მატათა და სვიმონი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია II ბრძანა, წმინდა ანდრია მოციქული თითქოს ხელმეორედ შემოვიდა საქართველოში 2003 წელს... სიონის საკათედრო ტაძარში ორი მოციქული – წმინდა ანდრია და წმინდა თომა შეხვდა ერთმანეთს. მასპინძელი – თომა მოციქული და სტუმარი – ანდრია მოციქული მზად იყვნენ საქართველოს დასალოცად.

**გიული ლიპარტია**

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 14 მაისს**

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858

## დაიჯესტი

### ... მანამდე კი რიცხვების აღსანიშნავად ანბანს ვიყენებდით...

**თქვენთვის კაცობრიობის რამდენიმე უდიდესი გამოგონების დასახელება რომ ეთხოვათ ყოველგვარი დაფიქრების გარეშე, დარწმუნებულები ვართ, უმრავლესობა რადიოს, ელექტრობას, ატომურ ენერგიას, ტელევიზიას, კომპიუტერს და ა.შ. დაასახელებდა. მაგრამ, ასეთივე დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ, ალბათ, ცოტა ვინმეს თუ გაახსენდებოდა... ციფრული სისტემა, რომელიც სულ ათი ნიშნისგან შედგება, რომლებიც თავის მნიშვნელობას ადგილისდა მიხედვით იცვლიან, მაგრამ არც ერთ ენასთან დაკავშირებული არ არიან...**

არაბული ციფრები ჩვენს ცხოვრებას ისე ორგანულად შეერწყნენ, თითქოს ოდითგანვე არსებობდნენ. სინამდვილეში ეს ასე



არ არის. მათი წარმოშობის ზუსტი თარიღის დასახელება შეუძლებელია, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ არაბული ციფრები ათას წელზე ოდნავ მეტი ხნისანი არიან, ყოველ შემთხვევაში მათი „ასაკი" ათასხუთას წელზე მეტი არ უნდა იყოს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ისინი ჯეროვნად შეაფასეს და ფართო გამოყენება სულ 400-500 წლის წინათ დაიწყეს.

საინტერესოა, საიდან წარმოიშვა ციფრების ეს სისტემა? მიაჩნიათ, რომ ევროპაში (კერძოდ, ესპანეთშიძ იგი არაბმა დამპყრობლებმა ჩამოიტანეს, რომლებმაც, თავის მხრივ, ის ინდოეთიდან გადმოიღეს. მართლა, მე-7 საუკუნემდე, ისლამის წარმოშობამდე და დიდ დაპყრობათა დაწყებამდე, არაბებს „არაბული" ციფრები არ ჰქონიათ. მათი პირველი კვალი კი მხოლოდ მე-9 საუკუნეში (კერძოდ, 874 და 878 წ.წ.ძ ჩნდება. მანამდე კი, ბერძნების, ებრაელების, ქართველებისა და სომხების დარად, ციფრების აღსანიშნავად არაბებიც ალფავიტს იყენებდნენ.

### „სიცრუის მიჭედება"

**რამდენიმე დღის წინათ რედაქციაში მოტანილ ერთლარიან კუპიურას ყველანი ისეთი გაკვირვებულები ვათვალიერებდით, თითქოს მანამდე გვენახოს კი არა, საერთოდ არ გაგვეგოს მისი არსებობის შესახებ. ბოლო დროს ეს ერთ და ორლარიანი კუპიურები, ფაქტობრივად, გაქრა მიმოქცევიდან, ისინი იმავე ნომინალის მონეტებმა ჩაანაცვლეს. მომხმარებელთათვის ეს ერთობ მოუხერხებელი კია, მაგრამ მონეტარული პოლიტიკის თვალსაზრისით, საკმაოდ გონიერი ნაბიჯია, რადგან, პრაქტიკულად, ცვეთა არა აქვს.**



ეს, რაც შეეხება ჩვენებურ მონეტებს, მაგრამ, ალბათ, ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ

●მსოფლიოში ყველაზე პატარა იყო ე.წ. „ქინძისთავის" ოქროს მონეტები, რომლებსაც კოლპატში (სამხრეთ ინდოეთშიძ უშვებდნენ. მათი წონა ერთ გრანს (0,00648 გრამსძ უდრიდა;

● ზომით და ღირებულებით ყველაზე დიდი მონეტები ასევე ინდური ოქროს მონეტები იყო, რომლებსაც დიდ მოგოლთა დინასტიის ფადიშახ ჯაჰანის (1628-1657 წ.წ.ძ ჭრიდნენ. 200 მოჰურის (500 ინგლისური გირვანქა სტერლინგისძ ღირებულების მონეტის დიამეტრი 13 სანტიმეტრი, ხოლო წონა 2,23 კილოგრამი იყო. სადღეისოდ ბრიტანეთის მუზეუმში დაცულია ამ მონეტის მხოლოდ თაბაშირის ასლი;

● უძველესი მონეტები, რომელთა მოჭრის თარიღი ზუსტადაა ცნობილი – ესაა ლიდიაში (მცირე აზიაძ ჩ.წ.ა 685-652 წ.წ. მოჭრილი ოქროსა და ვერცხლის შენადნობის შემცველი ფული.

●ამჟამად მიმოქცევაში მყოფი მონეტების უმრავლესობას შემოხაზულობაზე კბილანები აქვს, რომლებიც XIX საუკუნის დამდეგს გაჩნდა, როცა თაღლითებმა ოქროსა და ვერცხლის მონეტების... კიდეების ჩამოჭრა დაიწყეს. მონეტებზე კბილანების დატანით, ხელისუფლებამ თაღლითებს ეს ოპერაცია „გაურთულა". აღსანიშნავია, რომ მრავალი ვაჭარი ყალბ მონეტებს ლურსმნებით დახლებზე აჭედებდა და ამით მყიდველებს აფრთხილებდა, რომ ფხიზლად არიან და გადასახდელად უვარგის ფულს არ მიიღებენ. სწორედ აქედან მოდის ცნობილი ინგლისური გამოთქმა „სიცრუის მიჭედება".



რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში" 99-62-77; 899 32-85-76.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6575 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4470 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7299 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0637 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.4715 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0947 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.0809 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0833 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5513 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +14 – +22 |
| ქუთაისი. | +16 – +23 |
| ბათუმი. | +14 – +20 |
| ზუგდიდი. | +16 – +23 |
| თელავი. | +14 – +22 |

## ანეკდოტები

ერთი ქალი უყვება მეორეს:

– ჩემი ქმარი ისე მღალატობს, ისე მღალატობს, რომ პირდაპირ არ ვიცი, ვისგან მყავს შვილი.

* * *

რესტორნის სამზარეულოში უძვირფასეს კაბაში გამოწყობილი მედიდური ქალბატონი ჟურჟელს რეცხავს და გასამშრალებლად უნაკლო სმოკინგში გამოწყობილ ბატონს აწვდის:

– არა, კერძები შესანიშნავი იყო, დესერტიც, შამპანურიც, მაგრამ მაინც, როცა კიდევ დამპატიჟებთ, ყურადღება მიაქციეთ, რომ თქვენს საკრედიტო ბარათს ვადა არ ჰქონდეს გასული.



* * *

– რით განსხვავდება ზაზუნა ვირთხისაგან?

– ზაზუნას უკეთესი პიარი აქვს.

* * *

ამერიკელი ტურისტი იერუსალიმში ჩავიდა. გოდების კედლის ნახვა უნდა, სახელწოდებას ვერ იხსენებს და მძღოლს ეუბნება:

– იმ ადგილას მიმიყვანეთ, სადაც თქვენ, ებრაელები მოთქვამთ, ყვირით და კედელს თავს ურტყამთ.

მძღოლმა ტურისტი საგადასახადო ინსპექციის შენობასთან მიიყვანა.

* * *

დედა ქალიშვილს ეუბნება:

– არ გაბედო, მაგ რეგვენს ცოლად არ გაჰყვე!

– კარგი რა დედა! სულ ცოტა ხნით, რა!

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)
მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24